სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მაკა კვინიკაძე

ქართული ხასიათის ესთეტიკური ბუნება ქართულ პუბლიცისტიკაში

(აკაკი ბაქრაძე; თამაზ ჩხენკელი; გურამ ასათიანი,ზვიად გამსახურდია, გერონტი ქიქოძე)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ანა დათუაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი

გორი 2021

სარჩევი

შესავალი 5

თავი I

აკაკი ბაქრაძე

&1.1 „რა ელის ქართველ ხალხს“.....11

$1.2„ასეამბობს მატიანე“.....16

თავი II

გურამ ასათიანი

&2.1„ცალი ხელით ცოტნე ვზარდე“.....20

&2.2„უნდილაძე“.....28

$2.3„სცენაზე დგომა“ 33

&2.4„გადახრები და უაღრესობანი“. 35

თავი III

თამაზ ჩხენკელი

&3.1„ლაზარე,გამოვედ გარე!“.....41

$3.2„ქართული ანბანის გარშემო“.....47

თავი IV

ზვიად გამსახურდია

&4.1„სულიერი მისსია“. 50

&4.2 „ექო“.....54

თავი V

გერონტი ქიქოძე

&5.1 „ენა და ეროვნული ენერგია“.....57

დასკვნა 63

ბიბლიოგრაფია 67

ანოტაცია

ნაშრომში „ქართული ხასიათის ესთეტიური ბუნება“ განხილულია XIX-XX საუკუნის თვალსაჩინო წარმომადგენელთა - აკაკი ბაქრაძის, თამაზ ჩხენკელის, გურამ ასათიანის, ზვიად გამსახურდიას და გერონტი ქიქოძის წერილები, რომლებშიც ნათლად იკვეთება XIX-XX საუკუნის პუბლიცისტთა დამოკიდებულება ქართული ხასიათის ორპოლუსიანობის მიმართ.

კვლევის საგანს წარმოადგენს წერილების ფონზე გაშლილ ქართულ ხასიათს. მანამდე არ მომხმდარა ამ კონკრეტული ავტორების ერთმანეთთან შედარება და არავის უკვლევია ქართული ხასიათის ბუნება პუბლიცისტურ წერილებზე დაყრდნობით. სწორედ ეს წარმოადგენდა კვლევის სირთულეს.

კვლევის მიზანია ახალი თემით მკითხველის დაინტერესება. არა ერთ წერილში იჩენს ჩანს ჩვენთვის საინტერესო მასალა, თუმცა ნაშრომში ძირითადად რამდენიმე წერილს განვიხილავთ მეტი კონკრეტიკისა და დაკვირვებისათვის.

ნაშრომის მიზანია დავინახოთ ქართული ხასიათის ის თავისებურებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ჩვენზე, როგორც ინდივიდებზე და შემდგომ ჩვენ როგორც ინდივიდები ვქმნით კოლექტივს და ყალიბდება ერთიანი ზოგადი სახე ქართული ხასიათისა. როგორ ხედავდნენ ჩვენი თანამედროვე პუბილიცისტი მწერლები ქართული ხასიათის თავისებურებას.

Anotation

შესავალი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება:

ნაშრომში: ,,ქართული ხასიათის ესთეტიკური ბუნება“, განხილული იქნება ქართველი ერის ხასიათი მეოცე საუკუნის ქართულ პუბლიცისტიკაზე დაყრდნობით.

ჩვენს ისტორიას კარგად ახსოვს სამშობლოსათვის თავგანწირული გმირებიც და მოღალატეებიც, იდეალიზმისა და პრაგმატიზმის ნიმუშები, მშრომელი და ზარმაცი ქართველები, ქართველი ოდითგანვე რადიკალურია, ან ყველაფერი ან არაფერი, ან ერთი უკიდურესობა ან მეორე, სწორედ ეს რადიკალიზმი ქმნის ბიპოლარულობას და კიდევ ამპარტავანი ხასიათი, რომელიც ხანდახან ავიწყებს ქართველს თავის ნამდვილ მოვალეობას და ხან ნებით ხან უნებლიედ სამშობლოს წინააღმდეგ მოქმედებას აწყებინებს.

ნაშრომში განვიხილავთ მეოცე საუკუნის ქართული პუბლიცისტიკის ყველაზე მთვალსაჩინო წარმომადგენლებს: გურამ ასათიანის , აკაკი ბაქრაძის, თამაზ ჩხენკელის, ზვიად გამსახურდიას და გერონტი ქიქოძის წერილებს, ქართული ხასიათის ამა თუ იმ შტრიხის შესახებ, გავაანალიზებთ მათ მსჯელობას და დასკვნებს და ამის საფუძველზე შევაჯამებთ ამ თემასთან დაკავშირებით მათი მოსაზრებების საერთო წერტილებს.

აღნიშნულ ნაშრომში განვიხილავთ გურამ ასათიანის წერილებს: „ცოტნე და ზურაბი“, სადაც ცოტნე ერთგულების უმაღლესი გამოვლინებაა, ზურაბი კი წრეგადასული მოღალატის აღმნიშვნელია, ის გაუგონარი სისასტიკით, აღვირახსნილობით, გაიძვერობით და ფლიდობით გამოირჩევა. ამ წერილში გურამ ასათიანი კარგად ასახავს სწორედ ქართული ხასიათის ორპოლუსიანობას.

ასევე ნაშრომში განხილული იქნება გურამ ასათიანის წერილი „უნდილაძე“ ეს წერილიც შეეხება ქართველი ადამიანის ხასიათს. აქ საუბარია ქართველთა სიმამაცის, სიმორცხვის, გაუბედაობის, შესახებ თუმცა ამ ხასიათის მიღმა იმალება თავის გამოჩენის, პირველობის სურვილიც.

ნაშრომში განხილული იქნება ასევე აკაკი ბაქრაძის წერილები „ქართველ ხალხს“ და „ასე ამბობს მატიანე“ სადაც აკაკი ბაქრაძე ხაზს უსვამს ქართველის ხასიათს იყოს ძალიან პრაგმატული და ანგარებიანი: „ ვინ იყო ეს ეშმაკი, წინდახედული და ანგარიშიანი კაცი, რომელიც ლერწამივით მყისვე იქით გადაიხარა, საითაც გამარჯვების ქარმა დაბერა?“[1].

ნაშრომში განვიხილავთ თამაზ ჩხენკელის წერილს „ლაზარე გამოვედ გარეთ“, სადაც საუბარია იოანე ზოსიმეს ,,ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ სადაც ავტორი განიხილავს ქართული ენის დიდ მნიშვნელობას და იმ ერის მაღალ ინტელექტს რომელიც ამ ენაზე საუბრობს, კონკრეტულად თამაზ ჩხენკელი არ საუბრობს თავად ქართველთა ხასიათზე მაგრამ იოანე ზოსიმეს წერილის ანალიიზე დაყრდნობით ჩვენ ქართველთა უკეთეს მხარეს ვხედავთ: მაღალი ინტელექტის , მაღალი სულიერი და მატერიალური კულტურის შემქმნელ ერს, რომელსაც შესწევს უნარი მსოფლიოს აჩვენოს რა არის ცივილიზაცია.

[1] აკ. ბაქრაძე, თხზულებანი, „ნეკერი“, „ლომისი“, თბილისი 2005, ტ. VI, გვ.118

ზვიად გამსახურდია განსაკუთრებული პატრიოტიზმით გამოირჩევა თავის პუბლიცისტიკაში, ,,ქართველი ერის სულიერი მისია“ არის ერთდროულად ქართველთა უნიკალურობისა და კულტურის აპოლოგეა.

გერონტი ქიქოძის წერილი „ენა და ეროვნული ენერგია“, აქაც თამაზ ჩხენკელის მსგავსად არ არის კონკრეტულად ხასიათზე საუბარი, თუმცა აქაც ხაზგასმულია ენის მნიშვნელობა და უნიკალურობა ქათველი ადამიანისათვის.

ნაშრომის სიახლე

მიუხედავად იმისა რომ თანამედროვე ნაშრომებში საკმაოდ პოპულარულია აკაკი ბაქრაძის პუბლიცისტიკის გამოყენება, უფრო ნაკლები დოზით დანარჩენი მკვლევრებისა, მაინც თანდათან იკლებს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის პუბლიცისტიკისადმი ინტერესი.

ჩვენი კვლევის სიახლეს წარმოადგენს, საერთოდ პუბლიცისტიკის კვლევის სიმცირე მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის კრიტიკოსებთან, ასევე ის, რომ რამდენიმე პუბლიცისტის კვლევების შედარება ამ თემაზე არ არსებობს, გარდა რამდენიმე წერილისა რომლებიც ცალკეულ პუბლიცისტის ცალკეულ წერილს მიმოიხილავს. ასევე სიახლეა ისიც რომ სრულიად განსხვავებული ტიპის წერილები გვაქვს საანალიზოდ შერჩეული, რომლებიც ასევე სხვადასხვა დროსაა შექმნილი, როგორც საბჭოთა ასევე პოსტსაბჭოთა პერიოდში, ამიტომაც საინტერესოა პუბლიცისტიკის ეს ნაწილი როგორ ხედავს ქართველი ერის ბუნებასა და მის დანიშნულებას სრულიად განსხვავებულ პერიოდებში.

თემის აქტუალობა

ჩვენი აზრით, თემა ნამდვილად აქტუალურია, იმიტომ რომ ზემოთ ჩამოთვლილი პუბლიცისტების ნააზრევის ერთ ჭრილში გააზრება და გაანალიზება ქართული ხასიათის შეფასებისთვის, საინტერესო იქნება თანამედროვე მოვლენებისა და სალიტერატურო პროცესების ამ კუთხით გასაანალიზებლად. ასევე აქტუალურია იმდენად რამდენადაც სხვადასხვა პერიოდშია შექმნილი, რაც საშუალებას გვაძლევს დროის ჭრილშიც შევადაროთ ქართული ხასიათის შტრიხების აქტივიზაცია, გაძლიერება ან დეგრადაცია და მათი გამომწვევი მიზეზები ეპოქალურ ჭრილში.

ჩვენს მიერ შერჩეული თემა აქტუალურია მისი შინაარსიდან გამომდინარეც, რადგან ერის ბუნების კვლევა უამრავი მიმართულებით იძლევა პასუხს და აქტუალური იქნება ყველა დროში, რადგან ერის ბუნების კვლევა დაუსრულებელი პროცესია.

ჩვენი აზრით წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი გამოადგება ყველას ვისაც ქართული ხასიათის ანთროპოლოგიის შესწავლა დასჭირდება ნებისმიერ მიმართულებაში: ლიტერატურაში, პუბლიცისტიკაში თუ ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებით.

კვლევის მიზანი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანს წამროადგენს გურამ ასათიანის, აკაკი ბაქრაძის, თამაზ ჩხენკელის, ზვიად გამსახურდიას და გერონტი ქიქოძის წერილების განხილვის საფუძველზე გავეცნოთ იმ გარემო ფაქტორებს რამაც გამოიწვია ქართული ხასიათის მრავალშრიანობა და ორპოლუსიანობა. რა განაპირობებდა სხვადასხვა დროში მათი მოქმედების მოტივებს, რა იყო

ქართული გენეტიკური პრობლემა თუ სიკეთე და რა შეძენილი, ათასი სხვადასხვა ჯურის დამპყრობლისაგან, საუკუნეების მანძილზე.

ზვიად გამსახურდიას, თამაზ ჩხენკელის და გერონტი ქიქოძის წერილები ქართული ცივილიზაციის მაღალ მატერიებზე მოგვითხრობს და გვახსენებს საიდან მოვდივართ, რამხელა კულტურის აკვანია ქართული ენა, ქართული ცივილიზაცია, რა სულიერი მისია აკისრია ერს რომელსაც ასეთი ძველი და კულტურული ისტორია აქვს. ხოლო ასათიანისა და ბაქრაძის წერილებში გამოკვეთილი ქართული, ბიპოლარული ხასიათია წარმოჩენილი, ერთის მხრივ: სიყვარულის, სულიერების, კეთილშობილების, თავდადების მაგალითებია, მეორე მხრივ- ვერაგობა, ღალატი, ორგულობა, ანგარება. რატომაა, რომ ამხელა ცივილიზაციის, განვითარებისა და კულტურის მქონე ერს ასეთი ერთი შეხედვით ანბანური ჭეშმარიტებები კვლევის მიზანია შეადაროს ოთხივე პუბლიცისტის მოსაზრება, დამოკიდებულება საკითხთან მიმართებაში და განაზოგადოს მათი პუბლიცისტიკის შედარებით მიღებული დასკვნები.

კვლევის მეთოდები:

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნა კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომა, პუბლიცისტურ ტექსტებზე დაკვირვება და შედარებითი კვლევის მეთოდი, ე.წ კომპარატივისტიკა, ნაშრომი არის ცდა გამოკვეთოს XX საუკუნის პუბლიცისტთა შეხედულება და დამოკიდებულება ქართული ხასიათის ესთეტიკის მიმართ.

ძირითადი საკვლევი საკითხები და ნაშრომის ძირითადი სტრუქტურა

ნაშრომი შეადგენს: შესავალს, 5 თავს, რომელთაგან თითოეული თავი რამდენიმე ან ერთი პარაგრაფისაგან შედგება და დასკვნას.

პირველ თავში განხილულია აკაკი ბაქრაძის პუბლიცისტური წერილები სათაურით: ,, ვითარცა ლერწამნი ქართაგან“.

მეორე თავში განვიხილავთ გურამ ასათიანის პუბლიცისტურ წერილებს სათაურით: ,,ერთი ხელით ცოტნე ვზარდეთ“

მესამე თავში განხილულია თამაზ ჩხენკელის წერილი: ,,ლაზარე გამოვედ გარეთ“, სათაურით ,,უძველესი ცივილიზაციის შვილები“.

მეოთხე თავში განხილული იქნება ზვიად გამსახურდიას პუბლიცისტიკა სათაურით: ,, ქართველი ერის სულიერი მისია“

მეხუთე თავში ვსაუბრობთ გერონტი ქიქოძის წერილზე, „ენა და ეროვნული ენერგია, სადაც განვიხილავთ ენას, როგორც ქართული კულტურის განუყეფელ ნაწილს და ქართველ ხალხს, რომლებაც უნდა განავითარონ ენა.

ბოლოს დასკვნების სახით შევაჯერებთ ამ ხუთივე პუბლიცისტის ნაშრომებიდან მათ შორის საერთო გადაკვეთის წერტილებს, საპირისპირო მოსაზრებებს, განსხვავებულ მოსაზრებებს და ქართველი ერის ხასიათის ზოგად შტრიხებს.

საბოლოო დასკვნის სახით შევაჯამებთ თუ როგორ გამოიკვეთა XX საუკუნის პუბლიცისტურ წერილებში ჩვენი საკვლევი თემატიკა.

თავი I

&1.1 „რა ელის ქართველ ხალხს“

დანტე ალიგიერის სიტყვით ჯოჯოხეთის კარს აწერია: „დასტოვე ყოველივე იმედი, ვინც აქ შემოდიხარ“-ო. დიდი იტალიელი ჰუმანისტის ეს მოსწრებული ფრაზა რუსეთის იმპერიის ყველა შემოსასვლელ კარზე რომ წაეწერა ვინმეს, იმპერიის შინაგანი ცხოვრების ნამდვილ, რეალურ სურათს დახატავდა. ოდნავადაც არ გადაუჭარბებია ლენინს, როდესაც ცარისტულ რუსეთს ხალხთა საპყრობილე უწოდა. ამ საპყრობილეში უხდებოდა ცხოვრება ჩვენს მრავალტანჯულ საქართველოს XIX საუკუნის დასაწყისიდან. XIX საუკუნის დასასრულს კი ხალხს ბორკილები უფრო დაუმძიმდა. ტირანიის სუსხი უფრო და უფრო აუტანელი გახდა.

შავბნელი დრო იყო ის დრო რუსეთში და მაშასადამე ჩვენშიც. - ამბობს გ. ლასხიშვილი თავის მემუარებში. ის იყო რუსეთის ტახტზე ავიდა ახალი თვითმპყრობელი ნიკოლოზ მეორე. ამბობდნენ ლიბერალი არისო, მაგრამ ტახტზე ასვლისთანავე თვითმპყრობელმა უმოწყალოდ დაამსხვრია ეს ლეგენდა. ნიკოლოზ მეორე, როგორც მამამისი, ცდილობდა ფეოდალურ პოლიტიკის რეჟიმის გამაგრებას, სასტიკად სდევნიდა და ანადგურებდა ლიბერალიზმის ყოველგვარ ნასახს.

რა თქმა უნდა როდესაც რუსეთში გაძლიერდა რეაქცია, ჩვენს ქვეყანას უარესი დღე დაადგა. თუ რუსეთში ამ რეაქციამ მაშინდელი ინტელიგენცია და მშრომელი ხალხი ამოიღო თვალში, ჩვენში დევნა და განადგურება მთელს ხალხს არგუნეს, მეფის მოადგილეების მიზანი გახდა ძირ-ფესვიანად აღმოეფხვრათ ეროვნული კულტურა და გაეძლიერებინათ გამარუსებელი პოლიტიკა. კავკასიაში გამოგზავნილი მთავარსარდლები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს სისასტიკეში.

შემდეგ დადგა საბჭოთა პერიოდი, რომელმაც იმის მაგივრად, რომ შვება მოეტანა ცარისტული კოლონიალური პოლიტიკით დაღლილი ხალხებისთვის, თავისუფლების დროშით უარეს დღეში ჩააგდო ადამიანები და განსაკუთრებით არარუსი ხალხები, საქართველოს მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა.

მწერლობა, მხატვრობა, თეატრი ერთადერთი საბრძოლო ასპარეზი იყო, სადაც ქართველი მოღვაწეები თავიანთ სათქმელს ამბობდნენ, ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების დარტყმის ობიექტი სწორედ ეს სფეროები გახდა. ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი განადგურება საბჭოთა ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა იყო. ქართველ მამულიშვილთა უდიდესი ნაწილი ვერ ეგუებოდა საბჭოთა პოლიტიკას, ხოლო საბჭოთა მმართველობა მათი ეროვნული სულისა და აზრის განადგურებას მიიჩნევდა უმთავრეს მიზნად.

სწორედ აკაკი ბაქრაძე იყო საბჭოთა რეჟიმის დიდი კრიტიკოსი, რომელიც დაიბადა 1928 წლის 29 მარტს თბილისში და დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. ის კითხულობდა საჯარო ლექციებს ლიტერატურაზე, ისტორიაზე, ეროვნულ და საზოგადოებრივ საკითხებზე. მისმა წიგნებმა, სტატიებმა და ასევე საჯარო ლექციებმა, 1980-იან წლებში, დიდი როლი შეასრულა ეროვნულ-

განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. ბაქრაძე ეროვნული მოძრაობის დროს ხალხს მოუწოდებდა დამოუკიდებლობისაკენ, პლურალიზმისაკენ, კერძო საკუთრების დამკვიდრებისა და პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებისაკენ. აკაკი ბაქრაძე არის წერილების რამდენიმე კრებულის ავტორი. მნიშვნელოვანია მისი პუბლიცისტური წერილები, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ ქართული ხასიათის ჭრილში, თუ როგორი გავლენა მოახდინა ზემოთ მოყვანილმა ისტორიულმა მოვლენებმა ეროვნულ ხასიათზე, რომელი თვისებები წარმოჩინდა ადამიანში საკუთარი თავის გადასარჩენათ, რა მოლოდინები და მოთხოვნები ჰქონდა ავტორს ქართველი ხალხისაგან ნათლად იკვეთება მის პუბლიცისტურ წერილებში, რომელიც „თხზულებანი“-ს სახელით 8 ტომადაა გამოცემული.

თავად პუბლიცისტიკა საზოგადოებრივ პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურაა, რომელიც ასახავს თანამედროვე და აქტუალურ საკითხებსა და პრობლემებს, ის მასშტაბურად იყენებს ცხოვრებისეულ მასალას და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის ასახვით გარკვეულ პოლიტიკურ იდეებს ავითარებს. მას საკმაოდ ფართო დიაპაზონი აქვს რაც განაპირობებს პუბლიცისტიკის მრავალფეროვნებას. აკაკი ბაქრაძის ერთ-ერთი მთავარი მემკვიდრეობა სწორედ პუბლიცისტიკაა, მის პატრიოტულ, მებრძოლ, შეუპოვარ ხასიათს სწორედ ეს ლიტერტურული მიმდინარეობა მიესადაგება. რადგან პუბლიცისტიკაში ძირითადად შელამაზების გარეშეა ასახული რეალობა და ავტორის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ. აკაკი ბაქრაძის პუბლიცისტურ წერილებში ცხელ კვალზეა ასახული ნახევარსაუკუნოვანი ხანა ქართველი ხალხის ცხოვრებისა.

აკაკი ბაქრაძის რვატომეულში თავმოყრილია თითქმის ყველაფერი, რაც მისი ხელიდან გამოსულა. მკითხველს აქვს შესანიშნავი მატიანე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, სამომავლოდაც გასათვალისწინებელი უამრავი ფაქტი და სალიტერატურო სახელოსნო. რვატომეულში თავმოყრილია უამრავი

წიგნი, წერილი თუ თხზულება, ბუნებრივია ყველა მათგანს ჩვენ ვერ მიმოვიხილავთ, თუმცა თემიდან გამომდინარე რამდენიმე წერილზე შევჯერდებით, სადაც გამოკვეთილია ქართველი ხალხის ესთეტიკური ბუნება.

პიროვნულ ცნობიერებაში აქსიოლოგიური თვალსაზრისით უმთავრესია ადამიანის დამოკიდებულება ეროვნული იდენტობისა და ნაციონალური ხასიათისადმი. ეროვნული ხასიათის თვითშემეცნება ყოველი ხალხის კულტურული აღმავლობის აუცილებელი პირობაა, საინტერესოა ამ პროცესზე დაკვირვება ჩვენი მწერლების საშუალებით.

„აკაკი ბაქრაძის ხუთი წერილი - „რა ელის საქართველოს?“ „ეს იქნებოდა სამართლიანი გადაწყვეტა“, „ქართველ ხალხს (მიმართვა)“, „აფხაზთა საკითხი“ და „ქართველ ხალხს“ -სამოცდაათიან წლების ბოლოსა და 80-აინი წლების დასაწყისში არალეგალურად ვრცელდებოდა. თვითოეულს ჰქონდა წარწერა „გაამრავლე, წააკითხე სხვას!“ პირველი ოთხი შემდეგ ერთად შეკრულიც, მუყაოს ყდით, ხელიდან ხელში გადადიოდა. ტიტულზე ჰქონდა წარწერა „Carthaginem esse delendam“, რაც ქართულად ნიშნავს: კართაგენი უნდა დაინგრეს.“[1]

წერილში „რა ელის ქართველ ხალხს“ ბაქრაძე მწუხარებას გამოთქვამს ქართველი ხალხის დაჩლუნგების გამო, ეროვნული თავმოყვარეობისა და სიამაყის დაკარგვას არ პატიობს ერს დაივიწყა ერმა ცოტნე დადიანი დაეცა და დაკნინდა, ისე რომ ხმას ვეღარ იღებს მოყვარის დასაცავად. იმის შიშით, რომ ჩვენც ციხეში არ ამოგვაყოფინონ თავიო. ქართველ ხალხში ვეღარ ხედავს იმ ღირებულებას, რომელიც წამებულ მოყვასს გვერდში ამოდგომას უბიძგებდა და ანუგეშებდა. „სამაგიეროდ, თუ ფეხბურთის მატჩის დროს მსაჯმა თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდ პენალტი არ დანიშნა, შეგვიძლია სტადიონზე გადავცვივდეთ და უაზროდ და უგონოდ მკერდი ტყვიას

[1] აკ. ბაქრაძე, თხზულებანი, „ნეკერი“, „ლომისი“, თბილისი 2005, ტ. VI, გვ.7

შევუშვიროთ. კომუნისტები წამდაუწუმ იკვეხნიან - საბჭოთა ხელისუფლების პირობებში „ახალი ადამიანი“ ჩამოყალიბდაო, მართალს ამბობენ, ჩამოყალიბდა ლაჩრისა და სულიერი მათხოვრის კლასიკური ტიპი!“[1] ამ ამონარიდში წარმოჩინებულია ის ესთეტიკური გამოცდილება, რომელიც პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ზედმოქმედებს ხალხზე და შემდგომ ერის საერთო ხასიათზე, თვისებათა ესთეტიკურ გამოცდილებას ადაბლებს, აკნინებს ისტორიული მოვლენები, ის კოლექტიური შიშები რომლებიც დაითესა XIX-XX საუკუნის საქართველოში კომუნიზმის მიერ, გამოვლინებას ჰპოვებს ერის ხასიათში სწორედაც, და აქ საუბარია სიმხადალეზე, ცოტნე დადიანის ერს თურმე სიმხდალეც სჩვევია.

გარდა ამისა, აკაკი ბაქრაძე ქართველი ხალხის უდარდელობაზეც საუბრობს, რომ მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს იმპერიები, რომლებიც არ დაინგრნენ, ასეთი იყო რომის იმპერია, ოსმალთა, მონღოლთა იმპერიები, რომლებიც დაინგრნენ და სწორედ ასეთ მომავალს უწინასწარმეტყველებს ბაქრაძე რუსეთს, რადგან ვერც ის ვერ გაექცევა ისტორიულ პროცესს მუდმივი არაფერია ეს კანონზომიერებაა.

ეს პროცესი ხელიდან არ უნდა გაუშვას ქართველმა ხალხმა და უნდა მოემზადოს მომავლისათვის, „თუ ქართველი ხალხი ამ პროცესს, მისთვის ჩვეული უდარდელობით შეხედავს, მაშინ გამორიცხული არ არის, პირველი მოჰყვეს სსრკ ნანგრევებში და სამუდამოდ იქ დაიმარხოს.“ „დროა ქართველმა ხალხმა შეიგნოს, რომ იგი არ არის მარადიული ხიზანი, რომელიც ისტორიის ასპარეზზე იმიტომ გამოვიდა, რათა მუდამ უცხო პატრონი და მფარველი ეძებოს. ქართველი ხალხი თავად უნდა იყოს თავისთავის პატრონი და, ღარიბ ნათესავსავით, საუკუნეების მანძილზე არ იყოს ატუზული სხვის კარებთან მოწყალების მოლოდინში. თავისთავის პატრონობისთვის ქართველ ხალხს

[1] აკ. ბაქრაძე, თხზულებანი, „ნეკერი“, „ლომისი“, თბილისი 2005, ტ. VI, გვ.27

უნარიც შესწევს, ძალაც და ნიჭიც. მხოლოდ საუკუნეების მანძილზე ჩანერგილი მარტოობის შიშს უნდა მოერიოს."[1] ქართველი ხალხის კოლექტიურ არაცნობიერში დალექილია შიში და აზრი, იმისა რომ საქართველოს არ შეუძლია რომელიმე ქვეყნის თუ იმპერიის მფარველობის ქვეშ არსებობა, სწორედ ეს განაპირობებს ქართველი კაცის ხასიათს, შეეგუოს ბედს და მიჰყვეს ცხოვრების დინებას, იმ აზრით რომ მას არ ძალუძს ცვლილების მოხდენა.

&1.2 „ასე ამბობს მატიანე"

ქართულ ხასიათზე ისე ვერ ვისაუბრებთ, რომ ისტორიულ ფაქტებს გვერდი აუაროთ აკაკი ბაქრაძეც წერილში „ასე ამბობს მატიანე" მიმოიხილავს ისტორიულ ფაქტს და ჩვენი კვლევისათვის საინტერესო მასალასაც გვაწვდის. აქ საუბარია მეფე გიორგი მესამის წინააღმდეგ ამხედრებულ ძმისწულზე დემნა ბატონიშვილზე, რომელმა მამის ტახტის დაბრუნება სცადა და ამბოხი მოაწყო. ამბოხებულებმა რომ შეიტყვეს გიორგი მეფე დანებებას არ აპირებდა განდგომილთა ბანაკი გაითიშა. დემნას ჯერ გამრეკელმა უღალატა, მეფეს პატიება სთხოვა, თანდათან მიჰყვნენ აჯანყებულები და დემნას გარსშემოეცალა ლაშქარი და დამარცხდა. „ვინ იყო ეს ეშმაკი და ანგარებიანი კაცი, რომელიც ლერწამივით იქით გადაიხარა, საითაც გამარჯვების ქარმა დაბერა". [2]

[1] აკ. ბაქრაძე, თხზულებანი, „ნეკერი", „ლომისი", თბილისი 2005, ტ. VI, გვ.78
[2] აკ. ბაქრაძე, თხზულებანი, „ნეკერი", „ლომისი", თბილისი 2005, ტ. VI, გვ.118

ორგულობა, ფლიდობა და ღალატი რომელიც ხშირად იყო ქართველი ხალხის ბრძოლაში დამარცხების მიზეზი აქ ნათლადაა გამოკვეთილი. იმ ხასიათის გვერდით, რომელიც დიდგორის ბრძოლას გვაგებინებდა, ყოველთვის არსებობდა მოღალატეობრივი და ორგული ბუნება, რომელიც ხშრირად ხდებოდა ჩვენი დამარცხების და შერცხვების მიზეზი, რომ არა ეს მანკიერი თვისება, რომელიც მთელი ისტორიის მანძილზე წითელ ხაზად გასდეს ჩვენს მატიანეს ალბათ უმრავლესი ომი თუ ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დასრულდებოდა. არა მხოლოდ დიდი გამარჯვებები ყოველდღიური ადამიანური ბრძოლებიც მოგებული ექნებოდა ქართველ კაცს.

„ახლა საქართველოს ერთიანობა, დისციპლინა, წესრიგი და თავდადება სჭირდება. ამას მარტო ხელისუფლება ვერ მოახერხებს. ეს მთელი ქართველი ერის სულის მოთხოვნილებად და შეგნებად უნდა იქცეს. თუ ამას მივაღწიოთ, რუსეთი კი არა, ვერარა ძალა ვერ დაგვამარცხებს. თუ ჩვენ გავაგრძელეთ ჩვეული ლაზღანდარაობა, ჩიტირეკიაობა, შარახვეტიაობა, სუფრულ-თამადური ბლოყინსიტყვაობა, მაშინ უმძიმესი მომავალი გველის.“[1] ამ ერთ აბზაცში, აკაკი ბაქრაძე ხაზს უსვამს იმ თვისებებს, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს ბედზე, და რომელთა დათრგუნვაცაა საჭირო რომ შედეგად გამარჯვება მივიღოთ, იმ პოლიტიკურმა ვითარებებმა, რომლებიც წარსულის გამოცდილებიდან ჰქონდა ქართველ ხალხს და მიმდინარე პროცესებმა ქართული ხასიათის ისეთი მანკიერი თვისებანი წამოსწიეს წინ როგორებზეც საუბრობს ბაქრაძე.

თუმცა სადაც უარყოფითზე ვსაუბრობთ იქვე უნდა ითქვას კარგიც, რომ საქართველომ ასეთმა პატარა ქვეყანამ, ასეთმა მცირერიცხოვნმა ერმა სწორედ იმიტომ გაუძლო საუკუნეებს და შემოინახა თვითმყოფადობა, რომ მას ჰყავდა ისეთი ერისკაცები როგორებიც იყვნენ - „გრიგოლ ხანძთელი,

[1] აკ. ბაქრაძე, თხზულებანი, „ნეკერი“, „ლომისი“, თბილისი 2005, ტ. VI, გვ.520

თერგდალეულები, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი... რა თქმა უნდა არაფერს ვამბობ ისეთ გიგანტებზე, როგორებიც იყვნენ დავით აღმაშენებელი და თამარი. თუ საქართველომ ყველაფერს გაუძლო და დღესაც ცოცხლობს, შრომობს, ქმნის, იბრძვის, ეს იმის შედეგია, რომ ჩვენი ქვეყნის არსებობა ეყრდნობა სამ ბურჯს - დავით აღმაშენებელს, თამარს და რუსთაველს."[1] ბუნებრივია ასეთი პიროვნებები კოლექტიური ბაზისის გარეშე ვერ აღიზრდებოდნენ, ამ ჩამონათვალს კიდევ უამრავი პიროვნების სახელები და გვარები აკლია, საქართველოსთვის ასეთი პატარა ქვეყნისათვის საკმაო რაოდენობის გვარები დავაგროვეთ, და ვფიქრობ რომ, რომ არა ჩვენი საერთო პატრიოტიზმი, ერთგულება, მეგობრობა, ვერც ამ ადამიანებს გაზრდიდა საქართველო და ვერც აქამდე ვერ მოვიდოდით. ეს ორბუნებოვნებაც ბუნებრივი მგონია, ყოველთვის ვერც კარგი იქნება ადამიანი და ვერც ცუდი, სიტუაციისა და ვითარების გათვალისწინებით არის ჩვენი ქმედებები ცუდი ან კარგი. ისტორიის მანძილზე, რა თანხვედრაც იყო ხასიათებში, რის გამოც ვიმარჯვებდით და ვმარცხდებოდით, თითქოს ის თვისებებია წარმოჩენილი ქართული ხასიათის ესთეტიკურ ბუნებად. აკაკი ბაქრაძე, კი კრიტიკოსია და მისი ვალია, სილა გააწნას, სარკეში ჩაახედოს ერი, რომ დაინახოს უფრო მეტად ის მანკიერებანი, რომლებიც ღუპავს, რომლებიც უნდა გამოასწოროს. შეაღვიძოს, გამოაფხიზლოს, ერი, ხიბლში კი არ ჩავარდეს რომ პატრიოტია, ერთგულება შეუძლია, დიადია, ვაჟკაცია, არამედ თვალი გაუსწოროს ნაკლოვანებებს და იბრძოლოს ისევ და ისევ თავისუფლებისათვის.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აკაკი ბაქრაძე კრიტიკულადაა ქართული ხასიათის მიმართ განწყობილი, საბჭოთა პერიოდის მარწუხებს, რომელმაც გავლენა მოახდინა ერის თვისებებზე, ვერ პატიობის „დაჩლუნგებას", მისგან მოითხოვს ისევ და ისევ ბრძოლას და თავგანწირვას. აკაკი ბაქრაძის წერილებში ეს სიმძაფრე არც არის გასაკვირი, რადგან ის

[1] აკ. ბაქრაძე, თხზულებანი, „ნეკერი", „ლომისი", თბილისი 2006, ტ. VI, გვ.282

კრიტიკოსია და სწორედ იმ პოლიტიკურ ვითარებაში ცხადად, საჯარო ლექციებში, ყველა ტრიბუნასთან აკრიტიკებდა საქართველოს მდგომარეობას, მმართველობას, ქართველი ხალხის პასიურობას. ჯანსაღი კრიტიკა ყოველთვის სასარგებლოა, ამიტომ თავის წერილებში ყველა იმ უარყოფით თვისებას უსვამს ხაზს, რომელიც XIX საუკიუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გამოიკვეთა: ესაა უდარდელობა, პასიურობა, სიმხდალე, მლიქვნელობა, პირფერობა, ანგარებიანობა, თუმცა მათ გვერდით არსებულ ისეთ თვისებებზეც საუბრობს, რომელთა წყალობითაც გადარჩა ერი. ესაა სიმამაცე, ერთგულება, პატიოსნება სამშობლოს სიყვარული. რომელთა გამოვლინებას ისევ და ისევ მძაფრად სთხოვს ერს.

აკაკი ბაქრაძის რვატომეულში, რომლებიდანაც VI თავშია ძირითად წარმოდგენილი პუბლიცისტიკა, ფრაგმენტულადაა გაბნეული ჩვენთვის საჭირო მასალა, სადაც ჩანს ქართული ხასიათის ელემენტები, მაგრამ ვფიქრობ საკმარისია იმისათვის რომ მისი დამოკიდებულება გამოჩნდეს, დროის ჭრილში მოგვცეს შედარების საშუალება, და იმ ისტორიულმა მოვლენებმა, რომლებიც ხდებობდა XIX-XX საუკუნეში, როგორი გავლენა მოახდინა ქართული ხასიათის ესთეტიკური ბუნების განვითარებაზე, რომელი თვისებები გახდა უპირატესი და რას მოითხოვდა დროება ქართველი ხალხისაგან.

თავი II

&2.1 „ცალი ხელით ცოტნე ვზარდეთ“

გურამ ასათიანი დაიბადა 1928 წელს, მან დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ის იყო ქართველი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, 1955 წლიდან ქართულ და რუსულ პრესაში იბეჭდებოდა გურამ ასათიანის კრიტიკული წერილები. 1982 წელს გამოქვეყნდა გახმაურებული წერილების კრებული „სათავეებთან“, რომელიც იყო ცდა ქართული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების ანალიზისა. ავტორი ისტორიაზე და ქართულ ლიტერატურაზე დაყრდნოით მეტად საინტერესო დასკვნებს აყალიბებს, ჩვენ განვიხილავთ წერილს „ცოტნე და ზურაბი“, სადაც აღნიშნავს, რომ მითად ქცეული სახეები თავის ანალოგს ისტორიულ

სინამდვილეშიც პოულობენ და ლიტერატურაშიც. მაგალითისათვის მოჰყავს ცოტნე დადიანი და ზურაბ არაგვის ერისთავი. ცოტნე ერთგულების უმაღლესი გამოვლინებაა, ზურაბი კი წრეგადასული მოღალატის აღმნიშვნელია.

ამ სრულიად განსხვავებულ წყვილსაც აქვს საერთო ნიადაგი. ისინი ერთნაირად სისხლიანი, სასტიკი ეპოქის შვილები არიან. ორივე გარეშე მტრის წინაშე შეუპოვარია, გმირობის გამოვლინება გვხვდება ორივე პერსონაჟში, მნიშვნელოვანი დამსახურება აქვთ ქართველობის მიმართ. ცოტნე დადიანის სახე ლიტერატურამ უკვდავყო, ზურაბისა კი ხალხურმა შემოქმედებამ. მათი ხასიათები არ იყო ერთნიშნოვანი, არამედ რამდენიმე განზომილებას შეიცავენ. ცოტნე რაინდული ზნეობის სახეა, სამშობლოსა და მეგობრებისათვის თავდადებული პიროვნებაა. „ეს არის ერთგულება ერთგულებისათვის!“

გადავუხვიოთ გურამ ასათიანის წერილს და გავიხსენოთ ისტორიული ფაქტები, მითად ქცეული ამ ორი პიროვნების შესახებ: ცოტნე დადიანი XIII საუკუნის მეორე ნახევრის, მონღოლთა დროინდელი საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე იყო. იგი დადიანთა ფეოდალური საგვარეულოს ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენელია. როგორც ცნობილია, XIII-XIV საუკუნეები განსაკუთრებით მძიმე პერიოდი იყო საქართველოსთვის მონღოლთა შემოსევების გამო. საქართველოს მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვა მონღოლურ ლაშქრობებში მონაწილეობა. ქართული ჯარის მუდმივად უცხოეთში ყოფნის გამო საქართველო ფიზიკურად დაუძლურდა. მონღოლთა ბატონობის აუტანელმა სიმძიმემ ქართველ დიდებულებს აჯანყება აფიქრებინა.

შეთქმულების ამბავი მონღოლებმა შეიტყვეს და მალევე მივიდნენ შეკრების ადგილზე, კოხტასთავს. მათ შეთქმულები დააპატიმრეს. მონღოლთა ნოინმა ბრძანა დამნაშავეთა გაშიშვლება, გაკოჭვა და სიცხეში დასმა. ცოტნე დადიანს ყველაფერი შეატყობინეს. „ცოტნემ თავისი ლაშქარი უკან გაუშვა,

მხოლოდ ორი კაცითურთ მივიდა ანისში და რა დაინახა თავისი თანამებრძოლები ესრეთ უპატიოდ და სიკუდილად განწირულნი", ჩამოვიდა ცხენიდან, ისიც გაშიშვლდა და დაჯდა შეთქმულთა გვერდით. ცოტნეს საქციელით გაკვირვებულმა მონღოლებმა იგი ნოინთან წაიყვანეს დასაკითხად. ცოტნემაც თავისიანების ნათქვამი გაიმეორა, თან დაუმატა, რომ მოვიდა მათთან საქმის კარგად გამოსაძიებლად და, თუკი ქართველი მთავრები სიკვდილის ღირსნი იყვნენ, დაე, ცოტნეც მათთან ერთად დაესაჯათ. მონღოლებმა დაიჯერეს ნათქვამი და დაპატიმრებულები გაათავისუფლეს. ცოტნე დადიანის ასეთი თავდადებით საქართველო ამჯერად გადარჩა მონღოლთა შურისძიებისაგან.

რაც შეეხება ზურაბ არაგვის ერისთავს გაუგონარი სისასტიკით, აღვირასხნილობით, გაიძვერობითა და ფლიდობით გამოირჩეოდა იგი. არაგვის ერისთავი ღალატში ისე გაიწაფა, თითქოს ეს მისი ისეთივე ყოველდღიური საქმიანობა იყო, როგორც ხელ-პირის დაბანა. მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში საქართველო ხუთ სახელმწიფოებრივ თუ ფეოდალურ ერთეულად იყო დაქუცმაცებული. ზურაბ არაგვის ერისთავი დიდად ხეირობდა იმით, რომ ქართლისა და კახეთის მეფეებს შორის არ იყო ერთიანობა. ეს უკანასკნელნი, იმის შიშით, რომ ზურაბი მტრის ბანაკში არ გადასულიყო, ეგუებოდნენ მის თავგასულობას. ზურაბსაც მეტი რა უნდოდა?! ცეცხლითა და მახვილით შეიერთა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, სისხლის გუბეები დააყენა და საწადელი მაინც აისრულა — თავისუფალი მთა დაიმორჩილა. განსაკუთრებით დიდი ბოროტება ხევსურეთში ჩაიდინა. ერისთავმა ხევსურები თრუსოში ნადიმზე მიიწვია. სამოცი ხევსური უიარაღოდ გამოცხადდა წვეულებაზე, აქაოდა, ვაჟკაცი სიტყვას არ გატეხსო. მაგრამ ზურაბის სიტყვას ჩალის ფასი ჰქონდა. არაგვის ერისთავის კლანჭებში მოხვედრილ მთვრალ ხევსურებს თავები დააყრევინეს, ისიც უნდა ითქვას რომ, ზურაბ ერისთავს დიდი წვლილი მიუძღვის 1625 წელს მარტყოფთან მიღწეულ გამარჯვებაში და

საქართველოდან სპარსელების განდევნაში. მაგრამ მან გიორგი სააკაძეში დაინახა ის პიროვნება, რომელსაც საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება სურდა, ამიტომაც სიძესაც განუდგა. 1630 წლის გვიან შემოდგომაზე ზურაბი საფურცლეს (ნატახტარს) მივიდა. იქ მას დიდი ნადიმი გაუმართეს. როგორც ჩანს. არაგვის ერისთავს დაბანგული ღვინო ასვეს, ღამით კი მძინარე ზურაბი და მისი თანმხლებნი ერთიანად ამოჟლიტეს.

ეს რაც შეეხებოდა ისტორიულ სინამდვილეს, ახლა კი კვლავ დავუბრუნდეთ გურამ ასათიანის წერილს და ვნახოთ რას მოგვითხრობს ამ ორი ქართველის შესახებ იგი.

როგორც თავშივე აღვნიშნეთ ცოტნე სანიმუშო ქართველი იყო, რომელმაც საკუთარი სიცოცხლეც კი გაიმეტა მეგობრების გადასარჩენად და თავისი გმირული ქცევის წყალობით ამას მიაღწია კიდეც.

„ცოტნეს სიბრძნე თანალმობით ატკივებული გულის სიბრძნეა. მისი ერთგულება აბსოლუტურ ფორმას იღებს, თვითკმარ სიამოვნებად იქცევა. ეს არის ერთგულება ერთგულებისათვის“.[1]

„ქართული ხასიათის ორბუნებოვანების ერთ საფრთხეს შეიცავს ინტერპრეტატორისათვის. თუ ამ მთლიანობის მხოლოდ ერთ მხარეს შეამჩნევ და მხოლოდ მას დაეყრდნობი, ან სრული იდეალიზაციისაკენ გიბიძგებს ან პირიქით, გაიძულებს ასევე მთლიანად დაჰგმო ეს ხასიათი.

ასეთ ცალმხრივ გაგებას ჩვენს დროშიც არაერთგზის წავწყდომივართ. ისინი მრავალ გაუგებრობას ბადებენ და, სამწუხაროდ, ბევრი მიამიტი მსმენელი შეჰყავთ შეცდომაში. ერთთ საქართველო ამქვეყნიურ სამოთხედ წარმოუდგენიათ, მეორენი რაღაც უღვთოს, ჯოჯოხეთურს ხედავენ ჩვენში, ზოგი თავკერძობას და გაუტანლობას გვიკიჟინებს, სხვანი უგულისხმიერეს

[1] გ. ასათიანი „სათავეებთან“, თბილისი 1987, გვ. 29

რაინდებად გვაცხადებენ, მხოლოდ ერთეულებს შესწევთ უნარი სხვა თვალით შემოგვხედონ.“[1]

რაც შეეხება ზურაბს, მიუხედავად იმისა, რომ ხალხმა ის პირსისხლიან მტარვალად დასახა და შეაჩვენა, მაინც ვერ გაიმეტა , სიკვდილისათვის მაინც დაენანა მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების გმირი.

„ღალატი და ვერაგობა დაჰყვება ზურაბს და სიკვდილიც ღალატიანი ერგო.“ იქნებ დაიმსახურა ასეთი სიკვდილი თავისი ქმედებებიდან გამომდინარე, მაგრამ მაინც თითქოს ენანება ხალხს. ეს ქართველი ხალხის სულის მწუხარებაა.

ქართველ ხალხს ხასიათის ორბუნებიანობა ახასიათებს. ამის შესახებ წერს იოჰან გოტფრიდ ჰერდერი თავის ერთერთ ნაშრომში და ამბობს, რომ ქართველები სულით ლაღი და გულადები, მაგრამ მოღალატეები არიან, რადგან ყიდიან შვილებს, ქმრები ცოლებს, თავადები-ყმებს და ა. შ. აი რას წერს იგი თავის ერთერთ ნაშრომში ქართველების ხასიათზე: „ …საბრალოა ქრისტიანულ საქართველოს ბედი. აქ არის ეკლესიები და მონასტრები, პატრიარქები, ეპისკოპოსები, ბერები, ქართველი ქალები ლამაზები არიან, მამაკაცები-გულადნი, და მაინც მშობლები ჰყიდიან თავიანთ შვილებს, ქმრები-ცოლებს, თავადები-ქვეშევრდომებს, მორწმუნენი- მღვდლებს. უცნაური ქრისტიანობაა გავრცელებული ამ სულით ლაღ, ხოლო ქურდული გულის სიღრმეში ღალატიან ხალხში.“

მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვების ავტორი აშკარად ცუდადაა განწყობილი ქართველი ხალხის მიმართ, არის მასში მაინც დადებითი ეპითეტები „სულით ლაღი“ და „გულადნი“. ჰერდერი სათანადოდ რომ გასცნობოდა საქართველოს ისტორიას, მიხვდებოდა რამ გამოიწვია ქართული ხასიათის მამაცი და ამავე დროს ღალატიანი ხასიათის ჩამოყალიბება.

[1] გ. ასათიანი „სათავეებთან“, თბილისი 1987, გვ. 32

შეიძლება ეს მართლაც ასეა, მაგრამ ვნახოთ როგორ ხსნის ქართველების ასეთ ხასიათს გურამ ასათიანი:

ლიტერატურის ისტორიაში ყველა ხალხს აქვს ეპოქა, როცა კულმინაციურ წერტილს აღწევს სულიერი პოტენციის გამოვლინება. მაგალითად საბფრანგეთისათვის ასეთი ეპოქაა - რაბლეს პერიოდი, რუსეთისათვის - დოსტოევსკის და ტოლსტოის ხანა, სწორედ მათ შემოქმედებაში გამოვლინდა „სამართლისმაძიებელი სული“ რუსი ხალხისა. ინგლისასთვის ასეთი ეპოქა იყო შექსპირის ეპოქა. ქართველებისათვის კი რუსთაველის ეპოქა. „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხის „ახალ აღთქმად“ იქცა. ამ ეპოქას გასდევს „სინათლის“ ძიება, სინათლისა, რომელიც გაიტაცეს. ეს სინათლე კი არის ბედნიერება, რომელსაც ქართველი ხალხი მთელი თავისი არსებობის მანძილზე ეძებდა და ეძებს დღესაც. ერთიანობა, ჰარმონია და ხორციელ კავშირში დაოკება სულიერი ლტოლვისა. ქართველ კაცს ვერ წარმოუდგენია ბერდნიერების გარეშე, როდესაც მას არ აქვს ბედნიერების პირობები ის წვრილმანებში ეძებს ბედიერებას, შვებას, ან კიდევ თავად ქმნის ილუზიას ბედნიერებისათვის. ფრანგი განმანათლების ჰელვეციუსის აზრით, „ადამიანს არ შეუძლია ბედნიერებისაკენ არ ისწრაფოდეს...“ ბედნიერების ძიება ყველაზე ადამინური თვისებაა, ეს არის ბუნებრივი თვისება.

ქართველ კაცს ბედნიერების ძიება, დროთა განმავლობაში გამოუმუშავდა, როგორც ისტორიკოსებისათვის ცნობილ ეპოქებში, ისე პრეისტორიულ ხანაში. მოხდა ისე რომ ქართველებისათვის ბედნიერება მუდამ საძებნელი და საბრძოლველი იყო, ეს ძიება კი დაკავშირებული იყო წინააღმდეგობის დაძლევასთან, ბრძოლასთან და სწორედ ამის შედეგად ყალიბდნება აქტიურ თვისებად.

ზემოთ ვახსენეთ, რომ თუ ქართველ კაცს არ აქვს ბედნიერების განცდა, ის იქმნის ამის ილუზიას და სწორედ ამ ილუზიის გამოვლინებაა ქართული

ლხინი სადაც ადამიანის ბედნიერების სპექტაკლს დგამს. ეს არის მცდელობა სასურველისა და რეალურის ურთიერთშეკავშირების, ჰარმონიის აღდგენისა. თავისი არსით სწორედ ასეთი ცდის შედეგია ქართული სადღეგრძელოც.

ქართველ ხალხს არ შეუძლია ჩამოიხსნას ყველა ნიღაბი, არ შეუძლია შეეგუოს უსამართლობას, უბედურებას. ის მუდამ იბრძვის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. მისკენ სწრაფვა ქართული ხასიათის თანდაყოლილი თვისებაა. ჩვენი ხასიათი ასევე თავდავიწყებით ელტვის სულიერებას და სიყვარულს. ქართველ ხალხს გამარჯვების დაუოკებელი წყურვილი აქვს, ეს არც უნდა გაგავიკვირდეს იმდენი ომი გვაქვს წაგებული, რომ ყოველ მოგებას და აღზევებას შევციცინებთ.

ქართული ხასიათი სიფხიზლეს მოითხოვდა მუდამ, სიმშვიდისა და სილაღის ნიღბის ქვეშ სიფრთხილე მუდამ უნდა იმალებოდეს, რომ არ მოდუნდეს ადამიანი და უფსკრულში არ გადაიჩეხოს. სწორედ ამიტომ ქართველები მუდამ ატარებდნენ „ ნიღაბს“ თავდაცვისათვის. სიმართლის ძიება და მისი აღმოჩენა მსხვერპლს მოითხოვდა, აქაც საჭირო იყო გადასარჩენად ნიღბის მორგება. ქართველისათვის სიმართლე მშვენიერება და სიკეთეა. ისტორიის ზოგიერთ ეტაპზე „მწარე სიმართლეს“, გამოფხიზლებას მოითხოვს ქართული ხასიათი, რომ უფსკრულის პირას მდგარი გამოფხიზლდეს და თვლემა არ მოერიოს.

ქართული ხასიათის კიდევ ერთ გამორჩეულ თვისებათ, გურამ ასათიანი არტისტიზმს ასახელებს. „თანდაყოლილი სწრაფვა ყოველივე ამაღლებულისაკენ, ჩვეულებრივისაგან განსხვავებულისაკენ, „პათეტიკურისაკენ“, ყველაფრისაკენ, რაც შემოქმედებასთან, ხელოვნებასთან, ფანტაზიასთან ანუ „სიცრუესთან“ არის დაკავშირებული.“[1]

[1] გ. ასათიანი „სათავეებთან“, თბილისი 1987, გვ.45

„ქართველისათვის ცხოვრება თავისთავად ზეიმია, დღესასწაულია, სანახაობაა, „მრავალსახოვნებაა. ანუ ის, რაც ბუნებრივ მშვენიერებას, ბუნებისმიერ სილაღეს და გამონაგონს, ბუნების გამამხნევებელ ღიმილს მოასწავებს, რაც ბუნებისათვის ნათელი და ფერადოვანია, როგორც ჩვენი ცისა და ხმელეთის ფერები, ან უფრო მეტად ის შვიდფერი სასწაული, რომელიც ქართულ პოეზიაში ჩვენი ეროვნული თვითმყოფობის სიმბოლოდ იქცა.“[1]

აქსიომატურ ჭეშმარიტებად იქცა აზრი, თითქოს ქართველი კაცის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თვისება „ჭირთათმენაა“. მართლაც უამრავ ჭირს გაუძელით, მაგრამ თუ დავაკვირდებით, ჩვენი ხასიათის მთავარი თვისება არა „ჭირთათმენა“, არამედ მასთან შეურიგებლობა, ჭირის მოუთმენლობაა. ჩვენი მოუთმენლობა ვლინდება იმაში, რომ ცხოვრება სილაღედ და ბედნიერებად გვესახებოდა, ამიტომ ვერ ურიგდებოდით მონობას.

არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის დროს ათასი უკუღმართი ჩვევაც შევიძინეთ. „ქურდული“ და „ღალატიანი“ ბუნება ტყუილად არ მოუწერიათ ქართველებისათვის. ვიპარავდით, მაგრამ მოპარვითაც ისევ ჩვენსას ვიპარავდით. ვღალატობდით მოძალადეს. ვერაგობა კი ჩვენ დაბადებიდან არ მოგვდევს, გვასწავლეს და გვაიძულეს.

საკვირველი და საოცარი კი ის არის, რომ ქართველ ხალხს სიყვარულის სურვილი და გრძნობა არასოდეს განელებია.

[1] გ. ასათიანი „სათავეებთან“, თბილისი 1987, გვ. 46

&2.2 უნდილაძე

სეფიანთა ირანის სახელმწიფოებრივი ძლიერება ალავერდი ხან უნდილაძეს უკავშირდება. მეთექვსმეტე საუკუნის 70-იანი წლების ყიზილბაშების მიერ სამ თუმნად ტყვედ გაყიდულმა ყმაწვილმა მძიმე გზა გამოიარა უკიდურესი გაჭირვებიდან ძლევამოსილი იმპერიის ყურალაღასის ტიტულამდე. უსასტიკესი ინტრიგების ფონზე შაჰ თამაზის კარზე მოხვედრა არ იყო იოლი საქმე, მით უმეტეს აქ აღზევება და ნდობის მოპოვება.

ეს ის დროა, სეფიანთა ირანს, როგორც სახელმწიფოს, ჯერ კიდევ ბევრი რომ არ უწევს ანგარიშს. ეს არის ჟამი ოსმალთა ძლიერებისა, მსოფლიო

ბატონობაზე, რომ აცხადებს პრეტენზიას და სამ კონტინენტზე რომ არის გადაჭიმული.~

ურთულესია ასეთ ძალასთან ჭიდილი, არადა, სულ მალე სეფიანებმა, ეს შეძლეს, შეძლეს სწორედ ქართველი ალავერდი ხან უნდილაძისა და მისი შთამომავლობის შვეობით. შაჰ აბასმა, სეფიანთა ყველაზე ძლიერმა ხელისუფალმა, სწორედ ალავერდი ხანის თანადგომით მოიპოვა უდიდესი გავლენა წინა აზიაში.

გვაინფეოდალურ საქართველოში, უჩველოდ იკვეთება იმამყული-ხან უნდილაძის, ქართველი კაცის სილუეტი.

ამ ისტორული პერსონაჟის ხასიათი ერთგვარი „გადახრაა“ ქართველთა ცხოვრების კალაპოტიდან, ბუნებრივია ეს ისტორიული პერსონაჟი გურამ ასათიანს ქართული ხასიათის კვლევისას არ გამორჩებიდა, რადგან მეტად მნიშვნელოვანი ეროვნული თვისებები წარმოჩინდება მის ცხოვრებაში. ამიტომ მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისათვის უნდილაძის პერსონაჟის განხილვა. გურამ ასათიანი თვლის, რომ ეს გადახრაც თავისებურად ტიპიურია ქართველთათვის, რადგან არაერთი ჩვენი თანამემამულე დაწინაურებულა სამაჰმადიანოს კარზე, ასეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით და ბრწყინვალებით, და ბევრსაც შემთხვევია მისი მსგავსი ტრაგიკული ხვედრი.

უმძაფრესი დრამაა „შირაზის ხანის“ მთელი ცხოვრება, უნდილაძე კი შაჰ-აბასის, ირანის უსასტიკესი მბრძანებლის მარჯვენა ხელი იყო. თეიმურაზ პირველმა შაჰ-აბასი ასე დაახასიათა: „მძლევარი და უწყალო მეფე, ქრისტიანთა მტანჯველი, უბრალოს სისხლის მჩქეფელი, ეროდიას წილ მჯდომელი.“

მოხდა ისე რომ, თეიმურაზის დედა ქეთევან დედოფალი, სწორედ უნდილაძის, შირაზის ბეგლა-ბეგის სასახლეში შაჰ-აბასის ბრძანებით აწამეს.

იმამყული-ხან უნდილაძე, არის ტიპიური სახე ქართველი კაცისა, რომელიც იმყოფებოდა და დაწინაურდა უცხოეთში, თანაც დაწინაურდა მოსისხლის სამსახურში.

მისი ცხოვრება გარკვეულ მომენტამდე წინსვლით მიდიოდა, ის იყო XVII საუკუნის 20-იან წლებში ყველაზე დიდი პიროვნება მთელს ირანში, რა თქმა უნდა შაჰ-აბასის შემდეგ. ის მეგობრობს ევროპელებთან და ძლიერ უყვარს ქრისტიანებიც.

ამ კაცის უსაზღვრო გულუხვობას აღნიშნავდნენ კათოლიკე მისიონერები, ხაზს უსვამდნენ მის მეცენატურ მიდრეკილებებს და გარკვეულ ესთეტიზმს.

მაგრამ ყველაფერი ასე კარგად და მშვიდად ვერ გაგრძელდა, 1624 წელს განგებამ უმძიმესი ზნეობრივი განსაცდელის წინაშე დააყენა. სწორედ ამ წელს მიიღო შაჰ-აბასისაგან წერილი შირაზის-ხანმა: „ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენ, და თუ არ გათათრდეს, აწამე და სასჯელით მოჰკალო“.

მისი მსგავსი სახელმწიფო მოღვაწე უსათუოდ უნდა დამდგარიყო ასეთი ფაქტის წინაშე, რომ მთელი სისრულით წარმოსდგომოდა ორაზროვნება საკუთარი თავისა. დიდხანს ცდილობდა უნდილაძე რომ შაჰ-აბასს გადაწყვეტილება შეეცვალა, სამი თვე ამ ბრძანებას მალავდა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ქეთევან დედოფლის და შირაზის ხანის დიალოგი, სიტყვიერი ორთაბრძოლის ბრწყინვალე ნიმუშია. აქ არის უდიდესი დრამატიზმი, რადგან მოწინააღმდეგეები ერთმანეთს გულწრფელად სცემენ პატივს, და ერთმანეთს უთანაგრძნობენ კიდეც, საკითხავია რომელი უფრო უთანაგრძნობს: ქეთევანი, რომელსაც ებრაძლება ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩავარდნილი უნდილაძე, თუ პირიქით უნდილაძეს საწამებლად განწირული ქეთევანი.

აქაც ვხედავთ, თითქოს უარყოფით პერსონაჟად უნდა იყვეს დახატული უნდილაძე და მაგრამ მის მიმართ თანაგრძნობის განცდა უჩნდება მკითხველს, თითქოს ის გმირია, გმირული თვისებებით შემკული, მაგრამ კიდევ მოითხოვს საზოგადოება მისგან თავგანწირვას, რომ საბოლოოდ მიიღოს აღიარება.

იმამყული-ხანს, რომელიც მაჰმადიანად დაიბადა, არაფრად მიაჩნია ქეთევან დედოფლისაგან ქრისტიანობის დათმობა, თუმცა კარგად იცის დედოფლის უტეხი ბუნება და ცდილობს ისეთი გზები გამონახოს, რომლითაც შეძლებს მის დაყოლიებას. ხან პატრიოტულ გრძნობებს უმძაფრებდა, რომ დათმობით ის დიდ უბედურებას აარიდებდა ქვეყანას, ხან დედობრივ გრძნობებს უღვივებდა, რომ მის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული თეიმურაზის ბედ-იღბალი, მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ქართველი მაჰმადიანი კაცის მთელი დიპლომატიური თვისებებია გამოყენებული ქეთევან დედოფლის დასარწმუნებლად, მაგრამ მან კარგად იცის რომ დედოფალი არ „გათათრდების.“ იმამყული-ხანის სახელს ვერ უშველის ის ტანჯვით გათენებული ღამეები, რომელბსაც დედოფლის გამო ათენებდა განიცდიდა ქართველი ქალის ტანჯვას, ტუჩებს იკვნეტდა, მთელი ღამე ბორგავდა, და ცდილობდა სახელმწიფოებრ ზრუნვაში ჩაეკლა თავისი გასაჭირი, თუმცა არც ეს არ შველოდა. 1633 წელს შაჰ-სეფის ბრძანებით მოკლეს უნდილაძე.

მიუხედავად, ამ დიდი განსაცდელისა მას კეთილგანწყობით მოიხსენიებდნენ სპარსეთში მყოფი ღვთისმოსავები იტალიელი მისიონერები, ასევე თავად თეიმურაზ პირველი ქეთევან დედოფლის ვაჟი.

„მდაბალი, ტკბილი, მოწყალე...“ თეიმურაზის ეს სიტყვები თავის მხრივ დიდსულოვანი მიუკერძოებლობის იშვიათი ნიმუშია.

აბა, წარმოიდგინეთ ვინ და ვის შესახებ წერს ამას!

როგორც ჩანს, ჩვენმა ძველებმა კარგად იცოდნენ არა მხოლოდ ავკარგიანობის რეალური ფასი, ისინი ასევე კარგად ერკვეოდნენ ზნეობრივ ფასეულობათა შეფარდებით ღირებულებაშიც.“ [1]

გურამ ასათიანის თქმით ამ პერსონაჟის სახეში მთავარი ის არის, რომ სივერაგეში, თვალთმაქცობაში, ულმობლობაში დაბადებული და ამ რჯულზე გაზრდილი უნდილაძე, თავად აქტიური მონაწილე იყო ამ ავბედითობის, თუმცა სიმართლისადმი სწრაფვასა და სიკეთეს მაინც ინარჩუნებდა. მიუხედვაად იმისა, რომ მას ეწადა სინათლისაკენ და ჰარმონიისაკენ უკვე ვეღარ წვდებოდა ამ სიკეთეებს.

ამ პატარა ისტორიულ მონაკვეთშიც კარგად ჩანს ქართველი ხალხის ხასიათი, რომელსაც ასე უსვამს ხაზს გურამ ასათიანი, უტეხობა და შეუპოვრობა, ერთგულება სარწმუნეობისა, უნდილაძის დიპლომატიურობა, სიბრალული, და თანამემამულის პატივისცემა. ამიტომაც მნიშვნელოვანია ჩვენთვის ისტორიულ ჭრილში წერილების განხილვა, რადგან ასე კარგად იკვეთება ქართული ხასიათის ესთეტიკური ბუნება, როგორი გავლენა მოახდინა ამა თუ იმ ისტორიულმა მოვლენამ, როგორ გარემოში როგორ იქცეოდა, რა ხასიათს ავლენდა, ქართველი კაცი.

[1] გ. ასათიანი „სათავეებთან“, თბილისი 1987, გვ. 52

&2.3 „სცენაზე დგომა“

ქართველებს უშიშარ ხალხად მოიხსენიებს, არაქართულ წყაროთა უმრავლესობა. მაგალითად ჰერდერი ქართველი კაცის სიმამაცეზე ისე წერს, როგორც აღიარებულ ფაქტზე. ეს თვისება არც აღმოსავლელი გამგებლებისათვის დარჩენილა ყურადღების მიღმა, ამიტომ ისინი მუდამ ექსპლუატაციას უწევდნენ მათ შეუპოვარ ბუნებას და რაინდულ სულს.

ლერმონტოვი ხაზს უსვამს ქართველების სიმორცხვეს, სიმორცხვით გამოწვეულ გაუბედაობას, მას ქართველები უმთავრესად მშვიდობიან გარემოში ჰყავს ნანახი, ამიტომ მის თვალს არ გამორჩენია ეს მალული თვისება. სიმორცხვე (კდემა) თავისებურ გაუბედაობაში ვლინდება, ეს ძალიან

მნიშვნელოვანი თავისებურებაა ქართული ხასიათისა, „კდემამოსილება“, ხომ დღემდე საქითინაურო ეპითეტია. ხასიათის არ ნიუანსს გურამ ასათიანი განიხილავს ბავშვების მაგალითზე, და ამბობს რომ: დღესაც ათი ქართველი ბავშვიდან შვიდი მაინც ავადმყოფურად მორცხვია, მიუხედავად იმისა, სად იზრდება ქალაქში თუ სოფელში, მდიდარ თუ ღარიბ ოჯახში, მთაში თუ ბარში. ასევე საინტერესოა ამ თვისების გამოვლინების ფორმა, რადგან ხანდახან ქართველებში სიმორცხვე პარადოქსული წინააღმდეგობის სახით ვლინდება. სიმორცხვე რიგ შემთხვევებში კადნიერების, ზოგჯერ თავხედობის ნიღაბს ირგებს.

„მეტიჩრობა“ ნაკლად მიიჩნევა, რიგ შემთხვევებში, შეიძლება მან ძალიან ცუდი ფორმებიც მიიღოს, მაგრამ მის საფუძველს თუ ჩავეძიებით ესეც „გადახრაა“, რომელიც სათავეს ირებს ჩვენი არტისტული ბუნებიდან. ქართველი კაცი თითქოს მუდამ სცენაზე დგას, და მარტო დარჩენილიც ისე იქცევა თითქოს ათასი თვალი უყურებდეს.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნემ ომი გამლოუცხადა ისეთ თვისებებს, როგორიცაა - ყოყლოჩინობა, კუდაბზიკობა, მატრაკვეცობა, კეკლუცობა და ა.შ.

„ყველაზე მაღალი და დრამატული კი ისაა, რომ ყოველი მხრიდან მობჯენილი უშეღავათო, მომთხოვნი მზერა საბოლოოდ ნამდვილ გმირობას, სრულ თვითგაღებას მოითხოვს სცენაზე მდგომისაგან.

რა გარემოებათა ზემოქმედებით უნდა გამომუშავებულიყო ჩვენში ასეთი არაორდინალური შეგნება?

შესაძლოა სცენაზე გასვლის მოთხოვნილება იმანაც გაგვიმძაფრა, რომ უფრო ხშირად კულისებში გვიხდებოდა ყურყუტი, რომ ნამდვილი, დიდი მოქმედება სადღაც ჩვენგან შორს, ჩვენი მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობდა, თუმცა ისეც ხომ ხდება, რომ ავანსცენას კარგავს მოქმედებს სურვილსდა „პროფესიონალ“ სტატისტად იქცევა?

პირველმიზეზი ჩვენი ამგავრი ბუნებისა, როგორც ჩანს, გაცილებით უფრო შორსაა საძიებელი, ისევ და ისევ საუკუნეთა, ათასწლეულთა სიღრმეში.“[1]

$ 2.4. „გადახრები და უაღრესობანი“

გურამ ასათიანის აზრით ქართული ხასიათის გადახრები და უაღრესობანი, გამოვლენილია როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ასევე ისტორიულ ფაქტებშიც. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ფოლკლორი.

წერილი მინდია და მურმანი, ქართული ეროვნული სულის ორი სხვადასხვა პოლუსია, მათ აქვთ ურთიერთსაპირისპირო მიმართულებები.

მინდია ვაჟა-ფშაველას მიერ შექმნილი პერსონაჟია, რომელიც ქაჯებმა მოიტაცეს და ტყვედ ჰყავდათ. ქაჯები მიირთმევდნენ გველის ხორცს, რომელიც მინდიასაც შესათავაზეს, მაგრამ მან უარი განაცხადა (გველი

[1] გ. ასათიანი „სათავეებთან“, თბილისი 1987, გვ. 57

ზოგადად სიბრძის სიმბოლოა). სასოწარკვეთილმა მინდიამ თავის მოკვლის მიზნით გადაწყვიტა ეჭამა გველის ხორცი, რის შედეგადაც ის შეიძენს არაამქვეყნიურ ნიჭს, მას ესმის ბუნების, მცენარეების, ცხოველების ენა. ხევსურეთში დაბრუნებულს უკვე აღარ შეუძლია ნადირობა, რადგან მას ჩაესმის ცხოველთა მუდარა, ასევე აღარ შეუძლია მცენაარეების, ხეების მოჭრა, რომ ზამთარში გათბეს. ამიტომ ის ცდილობს თავად დაითმინოს ყოველივე და სხვას ტკივილი არ მიაყენოს. ამ განსხვავებულობის გამო იგი საზოგადოებისგანაც გარიყულია და ხდება პასიური ადამიანი.

„საინტერესოა ამ მხრივ ხევსურული გადმოცემის ლიტერატურული მოდიფიცირება კ. გამსახურდიას ცნობილ მოთხრობაში, რომლის მიხედვით ხოგაის მინდი ოჩოპინტეს მიჰყიდის სულს (ისევე როგორც მურმანი - ეშმაკს), და ამის შედეგად განიკურნება მკბენარებისაგან (როგორც მურმანი კურნავს ეთერს).

ამრიგად, ორივე ამ სახის გააზრებაში შესულია ფაუსტური მოტივი (თავისებურად ტრანსფორმირებული სახით). რას უნდა ნიშნავდეს ეს ხალხური მსოფლგაგების თვალსაზრისით? როგორც ჩანს, იმას, რომ ორივე მათგანმა გადააბიჯა ადამინური შესაძლებლობებისა და ადამინურივე ყოფის ჩვეულებრივ ზღვარს და ახალ „ზეადამიანურ“ საფეხურზე შედგა ფეხი.

ასე თუ ისე, ორივემ დაარღვია ჩვეულებრიობის ნორმა, ამ მხრივ(საზღვრის გადაკვეთის თვალსაზრისით) ისინი ერთად არიან. მაგრამ აქედან მათი გზები საწინააღმდეგო მიმართულებით იყურება.“[1]

აქ ავტორი საუბრობს, მათ შესაძლო საერთო სათავეზე, თუმცა ისინი მინდია და მურმანი მაინც უპირისპირდებიან ერთმანეთს, ისინი ღირსეული ანტიპოდები არიან.

[1] გ. ასათიანი, „სათავეებთან“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982, გვ. 20-21

„პირველის შეგნება და მოქმედება, მარტივად რომ ვთქვათ, ალტრუიზმის ნიშნითაა აღბეჭდილი, მეორესი - ეგოცენტრიზმის დაღით (ამ მხრივ სწორედ მინდიაა მურმანის მსოფლმხედველობრივი ანტითეზა და არა აბესალომი, რომელიც, მურმანის მსგავსად, პირად ბედნიერებაში ხედავს ცხოვრების თვითკმარ მიზანს და თავისი მეტოქისგან მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევი „საშუალებით“ განსხვავდება.)[1]

როგორც ჩანს, გურამ ასათიანი ალტრუიზმს და ეგოცენტრიზმს განიხილავს ქართულ ეროვნულ თვისებად, რომელიც ასე მკაფიოდაა წარმოჩენილი თუნდაც ქართულ ფოლკლორში, რომელიც ისტორიული ფაქტებითაც დასტურდება. აღსანიშნავია, რომ მინდიას და მურმანს ბედნიერება სხვდასხვაგვარად ესმით. თუმცა ამ საკითხშიც აქვთ რაღაც საერთო და ეს არის დაფარული რაიმეს ცოდნა, მინდიას შემთხვევაში ცოდნა-განსწავლულობა, და მურმანის შემთხვევაში ახალი წამლის საიდუმლოს გაგების შემთხვევა.

გურამ ასათიანი მინდიას აიგივებს, ქართული სულის სათნოებასთან, სიკეთესთან, გულმოწყალეობასთან. მისი ზნეობრივი თვისებები იმდენად მაღალი ღირებულების მატარებელია, რომ სცდება ყველა ადამიანურ ზღვარს.

ის ცოდნა, რომელიც მან მიიღო ბედნიერებას ანიჭებს, და უარს ამბობს საკუთარ კეთილდღეობაზე და ჩვეულებრივ ადამიანურ კავშირებზე. სამწუხაროდ, მისი ასეთი ზე ღირსეულობა და პატიოსნება, არ არის გონებისათვის ადვილად მისაღები და ის ხდება პასიური პიროვნება სოციუმში.

„ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ის დიონისურ არსებად იქცევა, ოღონდ, ნიცშეს დიონისურ მსოფლჭვრეტისაგან განსხვავებით, ბუნებაში მხოლოდ ბნელი ძალების სარბიელს (სისასტიკეს, უსამართლობას, ტანჯვასა

[1] გ. ასათიანი, „სათავეებთან“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982, გვ. 21

და სასოწარკვეთას) კი არ ხედავს და შესაბამისად „ბოროტებისა და სიკეთის მიღმა“ კი არ დგება, არამედ, პირველ რიგში, ბუნებისეული ჰარმონიის (სათნოების, სიყვარულის, ლმობიერების, ურთიერთნდობისა და ურთიერთდანდობის) რწმენას ეზიარება და ამ საწყისთა ქომაგობაში ხედავს თავის მთავარ ადამიანურ მოწოდებას.[1]“

„მისი მიზანი საყოველთაო ბედნიერებაა, - ბედნიერება უნივერსალური მასშტაბით, ისეთი ბედნიერება, რომლის განხორციელებისას არც ერთი არსება (თუნდაც ერთი უმწეო ჩიტიც კი) არ დაიჩაგრება, არავინ და არაფერი დარ დარცება უყრადღებოდ, უალერსოდ, განუკითხავად.“[2]

ქართველი ხალხის მიერ ბედნიერების ძიება ვისაუბრეთ ზემოთაც, „ცოტნე და ზურაბის“ ტექსტში, მინდიას ასეთი ალტრუიზმი, ყოველგვარი ამქვეყნიური სიამენის დათმენა გაოწვეულია ამ ბედნიერების მოპოვებით. მოიპოვა ბედნიერია უკვე და გახდა კიდევ პასიური ადამიანი. ადამიანი, რომელიც მუდამ ბედნიერების ძიებაშია, იბრძვის, სწავლობს, ცხოვრობს უხარია, სტკივა, აქტიურია და მინდიასავით პასიურობისათვის განწირული არ არის. თანაც ის რამაც მინდიას ბედნიერება მოუტანა არის ცოდნა, რომელიც უნაყოფოა და არაპრაქტიკული, ანუ მისი სიბრძნე არ სჭირდებათ არც ადამიანებს, მის გარშემომყოფთ.

რაც შეეხება „აბესალომ და ეთერის“ შინაარსს, ეთერი დედინაცვლისაგანაა გამოქცეული ტეში ზის და ტირის, ამ დროს უფლისწული აბესალომი თავის ვეზირთან მურმანთან ერთად ნადირობს, ეთერი მურმანს შეხვდება პირველად და დამფრთხალი გაიქცევა სადაც უკვე ხვდება აბესალომს. უფლისწულსაც და ვეზირსაც შეუყვარდებათ ეთერი, თუმცა ვეზირი ვერ გამოხატავს თავის გრძნობებს, და განიზრახავს, რომ აბესალომს წაართვას ეთერი.

---

[1] გ. ასათიანი, „სათავეებთან“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982, გვ. 21.
[2] იქვე: გვ. 23

აბესალომ და ეთერის ქორწილის დროს მურმანი, ეთერს საჩუქრად მიართმევს მოჯადოებულ სამკაულს, რომელიც საშინელ სუნს დააყენებს სასახლეში და ამისაგან ხსნა მხოლოდ მურმანს შეუძლია.

ეთერი უკურნებელი სენით დავადდა, რის გამოც აბესალომი იძულებული იყო მიეტოვებინა სატრფო, და მურმანმაც საწადელს მიაღწია ეთერი მან წაიყვანა. სადაც ის განიკურნა და კვლავ დაიბრუნა სილამაზე. ეს რომ გაიგო აბესალომმა, მურმანის კოშკს ეწვია, რათა სატრფო კიდევ ერთხელ ენახა, დასუსტებული აბესალომი ეთერის მკლავზე კვდება, ხოლო ეთერი იმ დანით იკლავს თავს, რომელიც აბესალომმა ერთგული სიყვარულის ნიშნად აჩუქა. ასეთია მოკლე მიმოხილვა მითოსისა.

მურმანის პერსონაჟი ქართული მითოლოგიის საინტერესო სახეა, მურმანისათვის დამახასიათებელია ეგოცენტრიზმი, ანუ პირადი ბედნიერებაა მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი. „ბედნიერება, რომელიც მას სჭირდება, მხოლოდ ეთერის ანუ სექსუალური სიყვარულის სახით არსებობს: სხვა წყარო, მისი სულის წადილის დასაოკებლად, უბრალოდ არ მოიპოვება ბუნებაში. ამ ბედნიერებისათვის ის არაფერს იშურებს, თვით სულსაც, ე.ი. ამქვეყნიური ბედნიერებისათვის სამუდამო ტანჯვაზე თანხმდება.“[1]

თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს მაინც და მაინც ეროვნული ხასიათია ქართველი ადამიანის, რომ პიროვნული ბედნიერების გამო შეუძლია ეშმაკსაც კი მიჰყიდოს სული. თუმცა სიყვარულისათვის თავგანწირული რაინდები, უამრავი გვახსოვს ისტორიიდან და არც ლიტერატურულ პერსონჟთა სიმცირეს განვცდით. ეს საკითხი სადაოა, თუმცა ღირს განსახილველად რადგან ფაქტია თავად უტყუარი, მურმანი ყველაფერს აკეთებს საკუთარი ბედნიერებისათვის.

„ბედნიერების მურმანისეული მოდელის შედეგია სრული ინდიფერენტიზმი სიმართლისა და სამართლიანობის მიმართ, თვითდაოკების,

[1] გ. ასათიანი, „სათავეებთან“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982, გვ. 25.

თვითდამკვიდრების პრიმატი ყველა სხვა სახის იმპულსზე, ქმედებაზე და აქედან - აუღრესი აქტიურობა (აბესალომის უაღრესი უმწეობის ფონზე).“[1]

მურამანის სახე ბოროტია, ქართველ ხალხში, კი ბოროტს არაფრის შექმნა, არ შეუძლია, ქართულ კულტურაში შემოქმედი მხოლოდ სიკეთე, ამიტომ მურმანი არასრულფასოვანი და უპერსპექტივო პერსონაჟია. მის სურვილებში ყოველთვის არის შური და ცუდის ნიადაგი, ამიტომაც ის არ არის და ვერც იქნება მოძრაობის წყარო, მას მხოლოდ ნგრევაში შეუძლია ჰპოვოს გამოსავალი.

მურამანის სახე, შესაძლებელია იმ ქართველთა თვისებებს მიუსადაგოთ, რომლებიც მოღალატეობრივი სულით გამოირჩეოდნენ, და რომელთა გამოც ვაგებდით ბრძოლებს ან ჩვენს მოღალატეობრივ ბუნებაზე საუბრობენ დღესაც.

დასკვნით სახით გურამ ასათიანზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ცდილობდა შედარების გზით გამოეკვლია ქართული ხასიათის თავისებურებანი, სადაც მკაფიოდ ჩანს ხასიათის ორბუნებოვნება, ერთგული ცოტნეს გვერდით, მოღალატე ზურაბი, მოწამე ქეთევანი და უნდილაძე, რომელმაც ვერაფერი მოიმოქმედა ამ ქვეყნიური სიტყკბოების დაკარგვის შიშით. მინდიას თავშეკავებულობა და მურმანის შეუპოვრობა საკუთარი ბედნიერებისათვის სწრაფვისთვის.

ასათიანი მკითხველს წარმოუჩენს ქართული ხასიათის ორივე მხარეს დადებითსაც და უარყოფითსაც, ასევე ცდილობს უარყოფითი პერსონაჟის ხასიათშიც, გამართლების პოვნას და ცდილობს ხან ისტორიული, ხან მატერიალური და ხანაც სიყვარულის გავლენის დანახვას. რომ ქართველი ხალხის ორბუნებოვნების მიზეზი გარემო ფაქტორებია, ასეთებად კი არ დაიბადნენ არამედ ასეთები გახდნენ.

[1] გ. ასათიანი, „სათავეებთან“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982, გვ. 25

თავი 3

& 3.1 „ლაზარე, გამოვედ გარე!

ჩვენს მიერ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ენობრივ მნიშვნელობათა სისტემაში ფიქსირდება. სწორედ ენაში განზოგადებულ ადამიანურ გამოცდილებებს ვითვისებთ. ადამიანი არ იგონებს სიტყვათა მნიშვნელობებს, ის დროსა და სივრცეში დადგენილ მნიშველობათა სისტემას ითვისებს, სწორედ ამ ფაქტის გამო შეუძლია ენას ადამინის მოღვაწეობის და შემეცნების პროცესზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება. ყოველ საზოგადოებაში

გარკველი სახის ხასიათი დომინირებს, რომელიც გამოკვეთილია ენობრივ მნიშვნელობებში.

ენა კულტურის უმთავრესი იარაღია, რომელშიც გამოხატულია ერის განვითარება, ნაციონალური თვითშეგნება, მისი შემოქმედება. ქართულ ენაში აღბეჭდილი ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების ეტაპები. ამიტომ ერის ინტენსიური განვითარება, ხალხის მდიდარი წარსული, ენის სიმდიდრის და განვითარების თავდებია.

სწორედ ქართული სალიტერატურო ენა უქმნიდა საფუძველს ჩვენი ხალხის თავისუფლებისმოყვარეობას და დამოუკიდებლობას. ქართული ენა მიეკუთვნება მსოფლიო ცივილიზებულ ენებს, ამ ენაზე შეიქმნა უდიდესი ლიტერატურა, ორიგინალი თუ ნათარგმნი, თანაც ეს ლიტერატურა არის ჟანრობრივად მრავალფეროვანი: საერო, ფილოსოფიურ-თეოლოგიური, საეკლესიო-რელიგიური, ისტორიული, სასწავლო ხასიათის და სხვა.

უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები, რომელშიც გამოხატულია ქართველი ხალხის სულიერი სიმდიდრე, საქართველოს გარდა შემონახულია- სირიაში, პალესტინაში, სინას მთაზე, ბიზანტიაში, საბერძნეთში, და ა.შ.

ბუნებრივია ქართული ხასიათის თავისებურებებს ქართული ენის კვლევის გარეშე ვერ ჩავწვდებით, რადგან ენა ადამიანის არსებობის განუყოფელი ნაწილია. ხასიათის თავისებურება გამოხატულია ენობრივ მახასიათებლებში. ადამიანისათვის ვითგამოხატვის საშუალება სწორედ ენაა, საუკუნეების განმავლობაში დაგროვილმა ცოდნამ ჩვენამდე ენობრივი ფორმით მოაღწია. ენის კვლევა საშუალებას გვაძლებს ამა თუ იმ ხალხების ისტორიულ და კულტურულ ევოლოციას დავაკვირდეთ.

საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებში ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი დაიწყო მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში, ქრისტაინობაზე მოქცევით. სწორედ რელიგიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა

იდენტობის ჩამოყალიბებაში, ქრისტიანობა ფუნქციონირებას იწყებს, როგორც ქართული იდენტობის მარკერი.

ეთნიკური რჩეულობის იდელოგიას, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართველი ერის გადარჩენის საკითხში. ქართული იდენტობის ჩამოყალიბება შეგვიძლია დაუკავშიროთ, ასევე ფარნავაზ მეფის ხანას, სწორედ მან შექმნა მთავარი კულტი - ქართული დამწერლობა, რომელიც წარმოადგენს პირველ ნაბიჯს ქართული იდენტობის ჩამოყალიბებაში.

თამაზ ჩხენკელს, ქართველ ლიტერატორს, მწერალს, პოეტსა და მთარგმნელს ბუნებრივია ეს უმნიშვნელოვაესი საკითხი როგორიც ენის კვლევაა უყურადღებოდ არ დარჩენია. მას გამოქვეყნებული აქვს ასომთავრული ანბანის შესახებ უამრავი ნაშრომი, მისი სირცვული და გრაფიკული სტრუქტურის შესახებ, ასევე კრიტიკული წერილები, რომლებიც ამ ეტაპზე იქცევს ჩვენს ყურადღებას.

თამაზ ჩხენკელი, განიხილავს იოანე ზოსიმეს პატრიოტულ საგალობელს „ქებაი ქართულისა ენისაი“, სადაც ქართული ენის სიდიადეზე და საკრალურობაზეა საუბარი, ენის მესიანური კონცეფცია უმნიშნელოვანესი აღმოჩნდა ქართული იდენტობისათვის. თავად იოანე ზოსიმე X საუკუნის ქართველი სასულიერო მწერალი, ჰიმნოგრაფი იყო. მის შესახებ საკმაოდ მცირე ბიოგრაფიული ცნობები მოგვეპოვება, როგორც სინას მთის ანდერძ-მინაწერებიდან ჩანს, ის მოღვაწეობდა ჯერ საბაწმინდის ლავრაში, შემდეგ პალესტინაში, სინას მთაზე. იგი ცნობილია, როგორც ხელნაწერთა „შემმოსელი“, „განმაცხოველებელი,“ და ტექსტის „მჩხრეკელი“.

V საუკუნიდან მოყოლებული, ბიზანტიის ტერიტორიაზე დასახლდნენ, ქართველი ბერ-მონაზვნები. ათონის მთაზე ბერძენი ქართველი სასულიერო პირების მიმართ გამოირჩეოდნენ ქედმაღლობითა და შეუწყნარებლობით. ისინი ცდილობდნენ ეკრძალათ ქართველებისათვის საკუთარ ენაზე წირვა-

ლოცვის აღსრულება და გაედევნათ სავანეებიდან, რამდენჯერმე ფიზიკურ დაპირისპირებაშიც კი გადაიზარდა ეს კონფლიქტი.

ქრისტიანულ ერებთან დაპირისპირების პროცესში, ქართველებში ჩნდება მესიანისტური იდეა. სწორედ ქართული ენის ღვთაებრიობის იდეა ჩამოაყალიბა ბერმა იოანე-ზოსიმემ.

„ქებაი ქართულისა ენისაი“, მცირე ზომის ნაწარმოებია, მასში მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული ხასიათის ინფორმაციაა დაწნეხილი, სულ რაღაც 150-მდე სიტყვას შეიცავს, მაგრამ მისი შინაასრი უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია. კ. კეკელიძემ და პ. ინგოროყვამ 20-იან წლებში თავიანთი აზრი გამოაქვეყნეს ამ ნაწარმოების შესახებ.

„კ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ „ჰიმნის ავტორი თამამად უპირდაპირებს ერთიმეორეს ქართულსა და ბერძნულ კულტურას და პირველს უპირატესობას ანიჭებს მეორეს წინაშე“. ხოლო პ. ინგოროყვა ამბობს რომ: „ტექსტი წარმოადგენს ქართული ენის მისტიურ ხოტბას“, რომ „ქებაის“ ტექსტის ცხადყოფს „ქართული ეროვნული თვითცნობიერების მდგომარეობას და მესიანისტურ სულისკვეთებას X საუკუნის ქართულ განათლებულ წრეებში.“ [1]

თავად ნაწარმოები შინაარსობრივადაც და ფრაზობრივადაც ბუნდოვანია, რაც დამახასიათებელი თვისებაა იოანე ზოსიმეს სტილისათვის. „ნაწარმოები უძლიერესი ქვეტექსტით არის დატვირთული, სიტყვა იმგვარად არის ნათქვამი, რომ „ადვილ საცნაურ არ იყოს, არამედ ვითარცა ღრუბელი რამ ემოსოს, ანუ ორ-სამ რიგად გაისინჯოს“ (საბა).[2]

ქრისტიანული დროით არის განსაზღვრული „ქებაიში“ წარმოდგენილი სამყარო. ქრისტიანული დროის დასაბამი არის „ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე

[1] თ. ჩხენკელი „მშვენიერი მძლევარი“, თბილისი „მერანი“ 1989, გვ. 260

[2] თ. ჩხენკელი „მშვენიერი მძლევარი“, თბილისი „მერანი“ 1989, გვ.264

დღესამომდე“, და დასასრული „დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა.“ ეს არის ფაქტიურად ქრისტიანული დრო, და ნაწარმოებშიც არ ჩანს წელთაღრიცხვის სხვა თარიღი.

იოანე ზოსიმე ერთის მხრივ, მთელი გულიც ცდილობს აცნობოს თავის ადრესატს, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ, მეორეს მხრივ ცდილობს გულმოდგინედ დაფაროს სხვებისათვის. ტექსტი აღჭურვილია ბუნდოვანებით, რის გამოც მკითხველისათვის გაუგებარია მისი შინაარსი. ერთდროულად რაღაცას გვიმალავს და გვამცნობს კიდეც ავტორი, სწორედ ამაში მისია სიდიადე და სიძნელე.

რატომ არის ასეთი დაფარული ეს ტექსტი, ალბათ იმიტომ რომ ყველასათვის არ არის განკუთვნილი, თუმცა ავტორი ხელდასხმულთათვის მაინც ტოვებს ისეთ მინიშნებებს, რომლებიც მათთვის უნდა ჩანდეს. მაინც რა არის ის დიდი საიდუმლოება, რისი გამხელაც სურს ავტორს, და ამავდროულად რასაც ასე გულმოდგინედ მალავს და ნიღბავს. როდესაც ამბობს, „ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არსო“, ქართული ენის არც ერთ პერიოდში, მათ შორის მისი აყვავების დროსაც მსგავსი რამ არ თქმულა რომ: „დამარხულ არს ენაი ქართულ დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა, ეს არის მაქსიმალიზმი, „მესიანიზმს“ მივაწერდით, მხოლოდ რწმენაზე დაფუძნებული რომ ყოფილიყო, მაგრამ აშკარაა ეს ტექსტი დაფუძნებულია კონკრეტულ ცოდნაზე, რომელზეც სხვებს არ მიუწვდებოდათ ხელი, მაგრამ გარკვეულმა საზოგადოების წევრებმა იცოდნენ ტექსტის შინაარსის შესახებ გარკვეული ცნობები. საგონებელში აგდებს ადამიანს ასეთი დაშიფრულობა, დაფარულობა და მისტიციზმი.

აღსანიშნავია, ისიც რომ ქართველ ხალხს ყოველთვის აქვს განსაკუთრებულობის განცდა, ამას ისიც ამძაფრებს რომ ღვთისმშობლის

წილხვედრი ქვეყანაა საქართველო, და ყველა ის განსაცდელი, რომელიც ისტორიის მანძილზე შეხვედრია ქართველ ერს თითქოს გამართლებულია ამ ფაქტითაც, რომ მან უნდა გამოიაროს ეს მძიმე გზა, რათა მეორედ მოსვლის დროს ის იყოს რჩეული ქვეყანა და ენა ჩვენი აღდგეს ლაზარეს მსგავსად. ქართულ ენაში დამარხულია „ყოველი საიდუმლო“, ე.ი. ლაზარეშია დამარხული საიდუმლო, რადგან „ლაზარე“ ქართული ენაა. საინტერესოა რა საიდუმლოზეა საუბარი, თამაზ ჩხენკელი ამბობს, რომ ეს არის მეორედ მოსვლის საიდუმლო.

პავლე ინგოროყვა, აღნიშნავს რომ, ქართული ენის მისტიურ ხოტბას წარმოაგდნეს, ტექსტი „ქებაი“. რომ ქართული ენა ლაზარეა და მკვდრეთით აღდგება მეოთხე დღეს, ის „მდაბალია“ აღდგომამდე, რადგან მძინარეა, არ არის გაცხოველებული, და ელოდება მეორედ მოსვლას, რომ მკვდრეთით აღსდგეს.

თამაზ ჩხენკელის წერილზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველების ხასიათი გამოხატულია ენაშიც, რომ ჩვენ თავდაცვის მიზნით შევქმენით ისეთი იდეოლოგია, რომელიც წარმოგვაჩენდა როგორც განსაკუთრებულ ერს, და ეს განსაკუთრებულობაა იმდენად არის გამჯდარი ქართველი კაცის სულში, რომ მისთვის მხოლოდ და მხოლოდ საამაყოა მისი იდენტობა, რადგან ის საუბრობს სწორედ იმ ენაზე, რომელზეც ქრისტე ისაუბრებს მეორედ მოსვლის ჟამს, რომელიც აღსდგება ლაზარეს მსგავსად. ქართველისათვის ქართველობა ღვთისმშობლის წილხვედრობაა, და ბრძოლის წინ ყოველთვის ჰქონდათ განცდა ჩვენს ვაჟკაცებს, რომ მათ განგება მფარვალებს, რაღაც არა ამქვეყნიური, ალბათ ამ განცდის შედეგია ისეთი ბრძოლების მოგება, რომელიც დღემდე აკვირვებთ მათ ვინც ჩვენს ისტორიას ეცნობა.

&3.2 ქართული ანბანის გარშემო

როდის შეიქმნა ქართული ანბანი? ის განვითარების პროცესის შედეგია თუ ერთიანი აქტით არის შექმნილი? ამ კითხვებზე მეცნიერებს განსხვავებული აზრი აქვთ და მწვავედაც კი უპირისპირდებაინ ერთმანეთს.

ქართველ მეცნიერთა უმრავლესობა იზიარებს იდეას, ქართული ანბანის არქაულ ეპოქაში წარმოშობის შესახებ. ამ იდეაში დასარწმუნებლად იყენებენ მეფე ფარნავაზს და მას მიაწერენ ანბანის შექმნას „და ამან შექმნა მწიგრობრობა ქართული“, ანბანის არსებობაზე და მის ლიტერატურულ ტრადიაცე მეტყველებს იაკობ ხუცესის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, რადგან ეს უკანასკნელი ვერ იქნებოდა იმდენად იმდედანდ დახვეწილი და დიდი, რომ არ ყოფილიყო რაიმე სახის ლიტერატურული განვითარება წარსულში.

20-იან წლებში მკვეთრად გამოიკვეთა ორი საპირისპირო პოზიცია, ქართული ანბანის წარმოშობის პერიოდთან დაკავშირებით. ივ. ჯავახიშვილი ანბანის არქაულ პერიოდში წარმოშობის იდეას ემხრობოდა, ხოლო კ. კეკელიძე მის ქრისტიანულ ხანაში წარმოშობის პოზიციას.

ივ. კავახიშვილს, ჰქონდა რწმენა, რომ დიდი არქეოლოგიური გათხრები აუცილებლად მიაგნებდნენ ისეთ წარწერებს, რომლებიც დაადასტურებდნენ ანბანის არქაულობას. და მომავლის იმედათ იტოვებდა ამ ფაქტს.

ის ფაქტი, რომ V საუკუნებდა ქართული დამწერლობის არც ერთი ნიმუში არ არის შემონახული, უძლიერესი არგუმენტია, ანბანის არქაულ ეპოქაში შექმნის წინააღმდეგ, რომელსაც ანგარიშს უწევენ მკვლევარები.

არსებობს ვარაუდი, რომ არსებობდა მანამდე განვითარებული წარმართული მწერლობა, რომელიც ქრისტიანობამ გაანადგურა, თუმცა გ. ქიქოძე აღნიშნავს რომ ეს იდეა აზრს მოკლებულია, რადგან არსად დედამიწის ზურგზე ქრისტიანობას მსგავსი რამ არ ჩაუდენია. ის ფაქტი, რომ წარმართული ლიტერატურული ძეგლები არ მოიპოვება, ნიშნავს იმას, რომ ისინი უბრალოდ არ არსებობდნენ მანამდე, რადგან წარმოუდგენელია ქრისტიანობა, შეჭრილიყო ყველა აკლდამაში და გაენადგურებინა ყველა წარწერა.

პირიქით ქრისტიანობამ წარმოშვა ენის გამოყენების მოთხოვნილება, რათა მღვდელმსახურება და ქადაგება შესძლებოდა. თამაზ ჩხენკელი მხარს უჭერს იდეას, ქართლის მოქცევის დღიდან უნდა ვეძებოთ ქართული დამწერლობის წარმოშობის თარიღი.

აღსანიშნავია, რომ „შუშანიკის წამებამდე“ უკვე იყო ძველი და ახალი აღთქმის წიგნები. ამ თარგმანების დახვეწილი ენობრივი სტილი, სულაც არ ნიშნავს, იმას რომ რაიმე ლიტერატურული ტრადიცია არსებობდა მანამდე, არამედ ეს შეგვიძლია განვიხილოთ მთრაგმნელთა განსწავლულობის,

რელიგიურ-კულტურული ცნობიერების და შემოქმედებითი დიაპოზონის განვითარების შედეგად.

ივ. ჯავახიშვილი ასაბუთებს ქართული დამწერლობის არქაულ ეპოქაში ჩამოყალიბების ვარაუდს, იმ ფაქტით რომ V-VI საუკუნის ძეგლებში ანბანური გრაფიკა იმდენად სრულყოფილია, მრავალსაუკუნოვანი განვითარების გარეშე ასეთ სრულყოფილებას ვერ მივიღებდით, მაგრამ 70-იან წლებში გამოიკვეთა იდეა, რომ ქრათული მრგვლოვანი დამწერლობა არა ევოლუციის შედეგია, არამედ ერთ დროს და ერთდოულად შეიქმნა. „პირობითი ნიშნების საფუძველზე იგი ერთბაშადაა შექმნილი“ ამბობს ელ. მაჭავარიანი.

ის თვალსაზრისი, რომ ქართული ანბანი არა „განვითარებული“, არამედ „შექმნილია კიდევ უფრო აახლოვებს ქრისტიანულ ეპოქასთან, მაშინ როდესაც საუბარია „მთვარულ კვადრატულ ანუ მონუმენტურ“ქართულ ასომთავრულზე, რომელიც ტიპოლოგიურად ბერძნულ-ლათინური ანბანის მსგავსია.

ყველაზე მთავარი კი ამ დებულებებიდან ისაა, რომ ერის თვითცნობიერების მაღალ დონეზე მეტყველბს ეს ყოველივე. ქრისტიანობის მიღებასთანაა დაკავშირებული ქართველი ერის, როგორც კულტურული ღირებულებათა შემქმნელი სუბიექტის განვითარება. ქართველი ერის სახე ყალიბდება, ქრისტიანობის მიღების შემდეგ. ქრისტიანობა მწიგნობრული რელიგიაა და ხალხი რომელიც ამ რელიგიას მიიღებდა, ქმნიდა საკუთარ მწიგნობრობას, ავითარებდა მას. აგნსაკუთრებით აღმოსავლური ქრისტიანობა ხელს უწყობდა ეროვნულ ენაზე დამწერლობის განვითარებას.

„ისტორიამ შემოგვინახა ქრისტიანული გოთური, სომხური და სლავური ანბანების შემქმნელთა სახელები. ესენია ვულფილა, მესროპ-მაშთოცი, და

კონსტანტინე-კირილე. მაგრამ ჩვენ დღემდე არ ვიცით დანამდვილებით სახელი ძველი ქართული „ასომთავრული“ დამწერლობის შემქმნელისა“.[1]

თამაზ ჩხენლეკლის ეს წერილი, მნიშვნელოვანია იმდენად რამდენად ის ხაზს უსვამს ჩვენი კულტურული შემოქმედების განვითარებას. ქართული ენის განსაკუთრებულობას, ქართველისათვის ენა, მამული და სარწმუნოება ის ღირებულებებია, რომელსაც თავს სწირადა საუკუნეების განმავლობაში და ეს სამი ღირებულება ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებს.

ანბანის შექმნის ასეთი ისტორიულობა ქარველ კაცს სიდიადის, გამორჩეულობის გრძნობებს აღვიძებს, რომ ამ პატარა ერს გარდა ენისა, საუკუნეების წინ დაწერლობაც კი ჰქონდა, რომელიც მუდამ ვითარდება და იზრდება. ეს გარემოება ქართულ ამპარტავნულ ხასიათს კიდევ უფრო ამძაფრებს, და მას როგორც ქართველს განსაკუთრებული ქვეყნის შვილს, მესიანისტურ ენაზე მოლაპარაკეს ჰქონდა დამწერლობა, რომელიც გამოირჩევა დახვეწილობით, განვითარების საფეხურებით.

დასკვნის სახით, თამაზ ჩხენკელთან შეგვიძლია ვისაუბროთ ენის მნიშვნელობაზე, ის განიხილავს ქართული ენის დიდ მნიშვნელობას და იმ ერის მაღალ ინტელექტს რომელიც ამ ენაზე საუბრობს, კონკრეტულად თამაზ ჩხენკელი არ საუბრობს თავად ქართველთა ხასიათზე მაგრამ იოანე ზოსიმეს წერილის ანალიიზე დაყრდნობით ჩვენ ქართველთა უკეთეს მხარეს ვხედავთ: მაღალი ინტელექტის, მაღალი სულიერი და მატერიალური კულტურის შემქმნელ ერს, რომელსაც შესწევს უნარი მსოფლიოს აჩვენოს რა არის ცივილიზაცია.

ქართული ხასიათის მესინისტურ განწყობაზე უსვამს ხაზს, რომ ქართველი კაცი იქმნის განსაკუთრებულობის განცდას იჯერებს და სწამს ამ განცდის, რადგან კაცობრიობის ისტორიაში თავისი ადგილი დაიმკვიდროს.

[1] თ. ჩხენკელი „მშვენიერი მძლევარი“, თბილისი „მერანი“ 1989, გვ.31

თავი IV

&4.1 „სულიერი მისსია“

კვლევისათვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ, ზვიად გამსახურდიას წერილი „საქართველოს სულიერი მისსია“, თავად ზვიად გამსახურდიამ 1962 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისური ლიტერატურის სპეციალობით. 1978 წელს ზვიად გამსახურდია ნობელის მშვიდობის პრემიის ნომინანტი იყო. გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები,

ქართული კულტურის ისტორიის, თეოლოგიის, რუსთველოლოგიის, ამერიკული პოეზიის ისტორიის საკითხებზე.

წერილი „საქართველოს სულიერი მისსია“, ეხება „იდრიარტის“ ფესტივალზე წაკითხულ ლექციას. სადაც საუბარია ქართველთა ეთნოგენეზისზე. ზვიად გამსახურდია აღნიშნავს, რომ საბჭოთა დიქტატურის დროს, ქართული კულტურის ისტორიაში, მრავალი რამ იყო მიჩქმალული, ტაბუირებული და დამახინჯებული. ბევრი მეცნიერი და მკვლევარი ვერ იღებდა ხმას, რადგან მათ ეშინოდათ ხელისუფლების, განსაკუთრებით ისეთ საკითხზე, როგორიც ქართველთა ეთნოგენეზისია. საბჭოთა დიქტატურას დიდი ბრძოლა ჰქონდა გამოცხადებული ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის წინააღმდეგ. ხდებობა ეროვნული თემების, ნარკვევის მიჩქმალვა, რათა ქართველი ერისათვის არასრულფასოვნების კომპლექსი შთაენერგათ.

სწორედ მარქსისტული თეორია იყო იმის შესახებ, რომ ქართველი ერი, ერად ჩამოყალიბდა მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც კაპიტალიზმი შემოვიდა. რა თქმა უნდა ამ საკითხს ძალიან განიცდიდა ზვიად გამსახურდია, რადგან მრავალ საუკუნოვანი ერისთვის, რომელსაც ამხელა ისტორია, საკუთარი ენა და დამწერლობა აქვს, რითიც ამაყობს თითოეული ქართველი, და როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ თავს განსაკუთრებული ერის წარმომადგენლად გრძნობს, ეუბნებიან რომ მას ისტორია არ გააჩნია.

ამის საპირისპიროდ ზვიად გამსახურდიას მოჰყავს ვილჰელმ ჰუმბოლდტის კვლევა „ბასკური ენების სფეროში და პირინეის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობის ვინაობის კვლევის სფეროში მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქთონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა. ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტოიბერებს, მათგან გამომდინარეობს გვაინდელი ევროპული მოსახლეობა. მეცნიერებაში

მიღებულია აგრეთვე ტერმინი - ხმელთაშუა ზღვის რასსა, იმ მიდგომის აღსანიშნავად, რომელიც იდენტურია ტერმინისა კავკასიური რასსა.“[1] რაც შეეხება ენას, ამ მოდგმას ერთი ძირითადი ენა ჰქონდა თავისი განშტოებებით, ქართული ენაც ერთ-ერთი მონათესავე ენა უნდა იყოს.

დღესაც XXI საუკუნეში, მოვისმენთ აზრს ქართველებისა და იტალიელების, ქართველებისა და ესპანელების ხასიათის მსგავსების შესახებ, რათქმა უნდა ეს ვარაუდი საფუძველს მოკლებული არ არის. ტემპერამენტი, რომელიც ასე დაამხასიათებელია, როგორც ქართველებისათვის ასევე იტალიელებისთვის, ლხინის მოყვარეობა, და სხვა მსგავსებანი ამტკიცებს კიდეც ჰუმბოლდტის კვლევას.

ქრისტიანულ პერიოდზე ზვად გამსახურდია აღნიშნავს, რომ შემთხვევითი არ არის საქართველოში ორი მოქიცულის შემოსვლა ანდრია და სვიმონ კანანელის, ანდრია იყო პირველი მოწაფე ქრისტესი, ხოლო სვიმონ კანანელი მისი ბოლო მოწაფე. პირველი და უკანასკნელი მოციქულები, ამით ისინი გამოხატავდნენ დასაწყისსა და დასასრულს.

ძველბერძნები ქართველებს „გეორგოსებს“ უწოდებდნენ, რაც ნიშნავს მიწის დამმუშავებელს, მიწათმოქმედს, აქ იკვეთება ქართველი ადამიანის შრომის მიმართ სიყვარული, იმდენად რომ მათი დასახელება, მათივე ხასიათიდან, შრომისმოყვარეობიდან, შეარქვეს ბერძნებმა.

ამ ლექციის ფარგლებში ზვიად გამსახურდიას განხილული აქვს ქართველთა ეთნოგენეზისი, მათი წარმომავლობა, რაც შეიძლებოდა რომ ჩვენს თემასთან დაგვეკავშირებინა და ამოგვეკრიფა თუ რას ფიქრობს, ის ქართველთა ბუნებაზე, ხასიათზე, როგორც ვხედავთ ისიც აკაკი ბაქრაძის მსგავსად საყვედურობს საბჭოთა ხელისუფლებისადმი შიშს, რის გამოც მკვლევარები ვერ ამბობენ თავის სათქმელს და ამ შიშის გამო ქართველთათვის

[1] ზ. გამსახურდია, „წერილები ესსები“, ხელოვნება, თბილისი, 1991, გვ192-193

დამახასიათებელ ბრძოლისუნარიანობას, გამბედაობას, თრგუნავენ საკუთარ თავში. ასევე ქართველობის საკრალური მომენტები მითოსის ფონზე აქვს განხილული, თუნდაც ის რომ საქართველოში პირველი და უკანასაკნელი მოციქულები შემოვიდნენ საქადაგებლად, როგორც დასაწყისი და დასასრული, აქ შეგვიძლია პარალელი გავავლოთ თამაზ ჩხენკელის წერილთან „ქებაი ქართულისა ენისა“, სადაც ქართველთა მისტიფიცირებაზე და მესიანიზმის განცდაზე საუბრობს. რა თქმა უნდა, ყურადსაღებია ძველბერძნების დამოკიდებულება ქართველთა მიმართ, რომელებმაც მიწათმოქმდების, შრომისუნარიანობის გამო შეარქვეს სახელი „გეორგოს.“

&4.2 „ექო“

ზვიად გამსახურდია წერილში: „მკვახე შეძახილის“ ექო მიმართავს აკაკი ბაქრაძეს, გურამ ასათიანის წერილის „სათავეებთან“, გაკრიტიკების გამო, და აღნიშნავს, რომ ეს არის წერილი, სადაც წარმოჩენილია ქართველი ხალხის საჭირბოროტო პრობლემები.

გამსახურდია დასძენს, რომ მასაც მოსვლია პოლემიკა გურამ ასათიანთან, რადგან ეჭვი შეჰქონდა ერის ისტორიული მისიის თვითმყოფადობაშიც. „მე მას ვუპასუხე: უპრეცენდენტოა-მეთქი თავად ქართველი ერის მარტვილობა ქრისტიანული კულტურის სახელით. ეს

მომენტი, მე ვგონებ, ყველაზე არსებითია როგორც ჩვენი ერის ისტორიული პროფილის, ასევე ქართველი კაცის ეროვნული ხასიათის გამოსავლენად. მსხვერპლისუნარიანობა, იდეისათვის თავგანწირვა, მოყვასისათვის თავგანწირვა - აი, რა არის ძირითადი ჩვენს ეროვნულ ხასიათში."[1]

ასეთ მცირერიცხოვან ერში, რომ ასეთი სიმრავლეა მოწამეების, სწორედ ეს ათქმევინებს ამ სიტყვებს ზვიად გამსახურდიას, რომ არა ერის ხასიათის თავისებურება მარტვილთა ასეთი სიმრავლე უბრალოდ არ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ქართველ კაცში თავგანწირვის კოდი ჩადებული, სიმამაცის და ერთგულების ამხელა გამოვლინება, სარწმუნოებსა და სამშობლოს წინაშე.

ზვიად გამსახურდია, აკაკი ბაქრაძეს საყვედურობს, რომ ნაცარქექიას პერსონაჟში მხოლოდ სიზარმაცე და ბაქიაობა დაინახა, და არა მისი ჭკუა და მოხერხება. ასევე ბაქრაძეს უწუნებს მსჯელობის სტილს, სადაც ის ქართველი ერის ხასიათს ძირითადად უარყოფით კონტექსტში განიხილავს, ამის საპასუხოდ გამსახურდია ამბობს, რომ ასეთი თვისებების ყველა ერშია შესაძლებელი. თვითკრიტიკა ერისათვის კარგია, მაგრამ ზომიერად, ისე რომ ცილისწამებაში არ გადაიზარდოს.

აკაკი ბაქრაძე საუბრობს ილიას მკვლელებზე, ივანე მაჩაბელის გაუჩინარებაზე, რაზეც საუბრობდნენ, რომ ქართველის ხელი ერია, ასევე გურამიშვილის წასვლა ქვეყნიდან, ეს ყოველივე ქართველების მოღალატეობრივ ბუნებასთან აქვს დაკავშირებული, და ამ უარყოფით თვისებასაც აბათილებს გამსახურდია, რომ გურამიშვილი ლეკებისა და თურქების გამო მოსწყდა თავის მიწა-წყალს, ილიას მკვლელობა კი რუსეთის დაგეგმილიაო ამბობს. და ის რაც თავადაც არ მოსწონს ქართულ ხასიათში ეს არის შურისძიება: „თუ შურისძიების, როგორც ეროვნული თვისების ანალიზზე მიდგება საქმე, უწინარესყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ ჩვენში

[1] ზ. გამსახურდია, „წერილები ესსები", ხელოვნება, თბილისი, 1991, გვ. 559

არსებული სისხლის აღების წესი, რაც ჩვენი უდიდესი ეროვნული უბედურება იყო მუდამ (განსაკუთრებით მთის ტომში), თუმც იგივე მოვლენა ჩვენი დაცვაც იყო ჩვენი მეზობელი აგრესიული ტომებისაგან.“[1]

ქართველებისათვის დამახასიათებელ კიდევ ერთ ეროვნულ ხასიათს უსვამს ხაზს, ეს არის სულიერებისა და ნივთიერების შერწყმა და ამის მაგალითად მოჰყავს, გრიგოლ ხანძთელი, როგორც ისტორიული პირი, და ლიტერატურული სახე. სწორედ მასშია ქართველი კაცის იდეალური სახე, ის არის „კაცი ზეცისა და ანგელოზი ქუეყანისა.“ ანუ ჰარმონიულად შერწყმული ზეცას და მიწას.

„დიახ, წმინდანი იყო მუდამ იდეალი ჩვენი წინაპრებისა და ჩვენთვისაც უნდა დარჩეს იდეალად, თუ გვსურს ჩვენი ეროვნული და კულტურული არსებობის შენარჩუნება დღეს, ოკეანის პირისპირ, რომელიც ნთქავს ყოველგვარ ეროვნულ კოლორიტსა და ნიუანსებს. ის ერი კი, რომელიც დაკარგავს რწმენას და კულტურულ უპირატესობას ვერ შეინარჩუნებს მომხდურზე, უთუოდ დამარცხდება. წმინდანი იყო და არის იდეალი განათლებული კაცობრიობისა, მას ვერც ერთი სხვა იდეალი ვერ შესცვლის ვერც მომავალში.“[2]

ზვიად გამსახურდია აკაკი ბაქრაძეს საყვედურობს, რომ თამარი და ქეთევანი, რომლებიც ჩვენი ისტორიის უპრეცენდენტო გმირები იყვნენ, არ იხსენიებს დავით აღმაშენებლის გვერდით, რომელსაც უდაოდ სწორად განიხილავს ქართული ხასიათის არქეტიპად. თამარისა და ქეთევანის ბადალი მონარქი ქალები, არც ერთი ქვეყნის ისტორიაში არ არის.

---

[1] ზ. გამსახურდია, „წერილები ესსები“, ხელოვნება, თბილისი, 1991, გვ. 563

[2] ზ. გამსახურდია, „წერილები ესსები“, ხელოვნება, თბილისი, 1991, გვ. 565

გარდა საყვედურისა ეთანხმება აკაკი ბაქრაძეს, „ეთერიანის“ საკითხში, სადაც გურამ ასათაინი, ამტკიცებს რომ, ცხოვრების მიზნად პირად ბედნიერებას ხედავენ აბესალომი და მურმანი, ზვიად გამსახურდია აღნიშნავს, რომ პირადი ბედნიერების წინა პლანზე წამოწევა უცხო იყო ქართველთათვის, რომ ქართველისათის ზნეობრივი განღმრთოების გზა იყო მთავარი და არა პიროვნული ბედნიერება.

ქართული ხასიათის ერთ-ერთი თვისებაა რელიგიური შემწყნარებლობა, ფანატიზმი და ბართლომეს ღამეები მისთვის უცხოა. ამ თვისების სადემონსტრაციოდ, ზვიად გამსახურდია, დავით აღმაშენებელის დამოკიდებულებას იხსენებს რელიგიების მიმართ, ის დადიოდა სინაგოგაშიც და მეჩეთშიც, მან აკრძალა ღორის დაკვლა მუსულმანურ უბნებში, ეს არი იყო მეფის მხოლოდ დიპლომატიური გათვლები, ეს ყოველივე მეტყველებს მის ეროვნულ თვისებაზე რელიგიების მიმართ შემწყნარებლობაზე.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ რომ, გამსახურდია ამართლებს „ქართველი კაცის მცონარე ხასიათს“, და ყველა მის უარყოფით თვისებას ისევ და ისევ ისტორიულ უბედურებას მიაწერს, სწორედ ამ ისტორიული გადაგვარების გმირები შექმნეს დავით კლდიაშვილმა და მიხეილ ჯავახიშვილმა.

კვლევის მსვლელობისას, აღინიშნება, რომ ის ძირითად უარყოფითი მახასიათებლები, რომლებიც გამოიკვეთა ქართულ ხასიათში, ძირითადად გამოწვეული იყო ისტორიული მოვლენების გამო. ძნელბედობის ჟამი არაერთხელ დაუდგა საქართველოს, ხანაც გადარჩენის მიზნით, ხანაც გამწარებული, დამცირებული ქართველი იძულებული იყო თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო. ასე ამართლებს ზვიადი ქართველი კაცის ბუნების უარყოფით პოლუსს.

თავი V

&.5.1 „ენა და ეროვნული ენერგია“

გერონტი ქიქოძე, გამოჩენილი ქართველი მწერალი, ესეისტი, მთარგმნელი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და ეროვნული იდეოლოგი იყო, რომელიც დაიბადა 1885 წლის 4 სექტემბერს, ოზურგეთის სოფელ ბახვში, განათლება მიიღო ევროპაში, ლაიფციგში, შემდეგ კი ბერნის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა.

მან ლიტერატურული მოღვაწეობა 1905 წელს დაიწყო, ის კითხულობდა ლექციებს. ბრწყინვალე განათლებისა მქონე გერონტიმ, რომელმაც ქართული

შესანიშნავად იცოდა დიდი წვლილი შეიტანა ქართულ ენაზე ფრანგული ლიტერატურის შედევრების თარგმნაში.

გერონტი ქიქოეძეს ეკუთვნის ლიტერატურის კრიტიკული წერილები და ესეები, რომლებიც მნიშვნელოვანია ლიტერატურათმცოდნეობისათვის.

წერილი „ენა და ეროვნული ენერგია“, გერონტი ქიქოძის იდეოლოგიური წერილია, რომელიც 1914 წელს დაიწერა და სადაც საუბარია საქართველოში ქართული ენისა და კულტურის ყოველისმომცველად გავრცელების აუცილებლობაზე. ამ წერილის წერისას, ავტორი სულ რაღაც 29 წლის იყო, და ნათლად ჩანს თუ როგორ ბევრს ფიქრობს ერის ბედის გამო.

გერონტი ქიქოძე წერილში „ენა და ეროვნული ენერგია“, საუბრობს რომ ერის სულიერი სიმდიდრე და სიღარიბე ყველაზე უკეთ ენაში იკვეთება. ის არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც ისე ვითარდება და იზრდება, როგორც ერი ვითარდება და იზრდება.

ენა არის სწორედ ის ძლიერი იარაღი, რომელსაც შეუძლია ერის გაერთიანება, შეკავშირება, წარსულისა და აწმყოს დაკავშირება. რაც უფრო დიდი ისტორიის მქონეა ერი მით მდიდარია მისი ენა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები მციხრერიცხოვანი ერია, ქართულმა ერმა უამრავ ქარტეხილებს გაუძლო, მას ზურგს უმაგრებს ისტორიული წარსული. გარდა, მისი ხანდაზმალობისა, ქართული ენა უნიკალური ენაა, რომელსაც დამახასიათებელი იდიომური გამონათქვამაბეი აქვს. უამრავი სინონიმები, რაც ქართველ ადამიანს სიამაყის გრძნობას კიდევ და კიდევ უმაღლებს.

„ამიტომაა, რომ შეგნებული ერი არც ერთს თავის სიმდიდრეს არ ეპყრობა ისეთი სიფრთხილით და ყურადღებით, როგორც თავის ენას. ის მას ერთი მხრით სწმენდს უცხო ელემენტებისაგან, მეორე მხრით მის გარეთ გატანას ცდილობს. ამგვარად იბადება ორი მიმდინარეობა, ორივე დამახასიათებელი ეროვნული ენერგიისათვის: მოძრაობა პურისტული და

მოძრაობა ექსტენსიური. პირველი უწინარეს ყოვლისა სინტაქსისა და ლექსიკონის სფეროში აშკარავდება, მეორე კი ყველაზე ძლიერ სიტყვა-კაზმული მწერლობის შემწეობით ხორციელდება. ენის ლექსიკონი იზრდება და იწმინდება ეროვნული აქტივობის წყალობით, მისი სინტაქსი თანდათან ყალიბდება. ამგვარად განმტკიცებული ენა უპირდაპირდება დაუმთავრებელ, უსუსურ, უკულტურო ენებს და ამარცხებს მათ: ამარცხებს არა ძალმომრეობით, არამედ პოეზიის და ლიტერატურის შემწეობით."[1]

ავტორი ხაზს უსვამს, ეროვნული აქტივობის გავლენას ენაზე, რომ არა ქართველის ბრძოლისუნარიანობა, რასაკვირველია ქართული ენა ამ დრომდე ვერ შეინარჩუნებდა თვითმყოფადობას, რომ არა ქართველი კაცის ერთგულება და თავგანწირვა ენის დასაცავად, ასეთი მდიდარი, დახვეწილი ენა არ ექნებოდა ქართველ ერს. „ძველი ქართველობა ენერგიული ერების რიცხვს ეკუთვნის, მისი ენერგია გამოიხატა არა მარტო მის მიერ გათხრილ არხებსა, მის მიერ აგებულ ტაძრებსა და ციხე-კოშკებსა, მის მიერ განცდილ ომებში: ეს ენერგია მის ენასა და ლიტერატურაშიც გამოაშკარავდა. თავის მეზობლებს ქართველობამ შეათვისებინა თავისი საეკლესიო ენა და საულიერო ლიტერატურა, თავის მეზობლებს მან თვალწინ დაუყენა საუკეთესო ნიმუში ეროვნულად გამოკვეთილი საერო პოეზიისა."[2] აქ მწერალი საუბრობს, ქართველთა შრომისმოყვარეობაზე, რამაც გავლენა მოახდინა როგორც ისტორიაზე ისე ენაზე, შრომისმოყვარეობაზე საუბრობდა ზვიად გამსახურდია, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

ქართველი კაცის ბუნება იმდაგვარია, რომ მას შეუძლია ეროვნული ელემენდები შეიტანოს უცხოური ლიტერატურის გადმოტანისასაც კი. სპარსული და რომაული ტექსტების თარგმნისას ისე გადმოაქართულებდნენ ქართველი მთარგმნელები, რომ ეროვნული ლიტერატურაც კი ეგონებოდა

[1] გერონტი ქიქოძე, წერილები ესსები ნარკვევები, თბილისი, „მერანი" 1985, გვ.68
[2] გ. ქიქოძე, წერილები ესსები ნარკვევები, თბილისი, „მერანი" 1985, გვ.68

კაცს, ამის მაგალითად მოჰყავს „ვისრამიანი“, რომელიც ქართულ ეპოსს უფრო ჰგავს, ვიდრე გერმანულ „ტრისტანი და იზოლდას.“

სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ქართული ენის ასპარეზი შევიწროვდა და დაკარგა ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი დაწესებულებები, როგორიცაა სკოლა, ოჯახი და მასში დიდი რაოდენობით შემოვიდა უცხო სიტყვები, რუსული ენის გავლენა და წნეხი საკმაოდ დიდი იყო.

„საღი აზროვნება ყოველთვის განსაზღვრული, ნათლად გამოკვეთილი ენის ტერმინებში ყალიბდება დღევანდელი ქართველობა კი არ ხმარობსასეთ განსაზღვრულ ენას. ამიტომ მისი აზრინება უფორმო და უენერგიოა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს არ არსებობს ძლიერი ფართო მასშტაბის ქართული აზროვნება. იოანე პეტრიწის, შოთა რუსთაველის, ვახტანგ მეექვსისა და დავით გურამიშვილის მემკვიდრეები იშვიათად სცილდებიან პაწია ესკიზებსა, მინიატურებსა და კუპლეტებს და უზომოდ იტანჯებიან, როცა რაიმე შემთხვევა მათგან მეტ გონებრივ ენერგია მოითხოვს.“[1]

სწორედაც, რომ ენის ტერმინებში იკვეთება ქართველობა, და აუცილებელია ქართველი ერი ამ უმოქმედბოდან გამოვიდეს და გამოფხიზლდეს, დაიწყოს განვითარებისათვის, თვითმყოფადობისათვის ბრძოლა, როგორც ამას საუკენეების განვალობაში აკეთებდა, და ეს ბრძოლა რა თქმა უნდა აისახება ენაზე, გაიწმინდება ქართული ლიტერატურული ენა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენას არ შეუძლია დაიპყროს მსოფლიო, რადგან არ აქვს ამხელა დიაპაზონი, იმდენი მაინც შეუძლია თავის ტერიტორიაზე შეინარჩუნოს დომინანტობა, და განვითარდეს სხვა ენების გვერდით.

[1] იქვე: გვ. 69

„წმინდა ქართული ენა იმდენად მდიდარი, კულტურული და კეთილხმოვანია, რომ ის ჭეშმარიტად ღირსია მეტი პატივისცემისა. ის მზადაა გამოხატოს უმძიმესი ფილოსოფიური იდეები და უმსუბუქესი ეროტიული სენსაციოება, ის ხან მკვეთრი და ძლიერია, ვით გრდემლის და კვერის შეხვედრა, ხან ნაზი და ტკბილი, ვით პირველი ღიმილი შეყვარებული ქალ-ვაჟისა. ის ხატავს, ჩვენს მოღუშულ მთებსა და მოღიმარე მდელოებს. ვეშაპის ხმიან ჩვენს ცანჩქერებსა და ჩხრიალა მდინარეებს, ჩვენს უღრან ტყეებსა და პიტალო კლდეებს. მის რიტმში ჩვენ გვესმის შორეული სიმღერა ომში მიმავალი რაინდებისა.“[1]

ამ პატარა მონაკვეთში ნათლად იკვეთება ქართული ხასიათის ბუნება, საპირისპირო თვისებები, ორპოლუსიანობა, ორბუნებოვნება, როგორიც ერია ისეთივე ენა აქვს, ისეთივე გამოხატვის საშულებებს იყენებს.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გერონტი ქიქოზე კი კიდევ ერთხელ საუბრობს ენაზე, როგორც კულტურის შემადგენელ ნაწილზე, სადაციკვეთება ერის განვითარების თავისებურება. ქართულ ენაზე შესაძლებელია ნებისმიერი სირთულის ფილოსოფიური იდეების გამოხატვა, ასევე ყველაზე უმსუბუქესი ეროტიული სენსაციურობა, ისევ როგორც ქართული ხასიათია ორპოლუსიანი შეუძლია იყვეს, უაღრესად მაღალი ღირებულებების მატარებელი, ასევე ყველაზე მდაბალი შეფასების თვისებებსაც შეიძლება მოიცავდეს ერთი პიროვნება საკუთარ თავში.

[1] გ. ქიქოძე, წერილები ესსები ნარკვევები, თბილისი, „მერანი“ 1985, გვ.74

დასკვნა

- დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აკაკი ბაქრაძე კრიტიკულადაა ქართული ხასიათის მიმართ განწყობილი, საბჭოთა პერიოდის მარწუხებს, რომელმაც გავლენა მოახდინა ერის თვისებებზე, ვერ პატიობის „დაჩლუნგებას“, მისგან მოითხოვს ისევ და ისევ ბრძოლას და თავგანწირვას. აკაკი ბაქრაძის წერილებში ეს სიმძაფრე არც არის გასაკვირი, რადგან ის კრიტიკოსია და სწორედ იმ პოლიტიკურ ვითარებაში ცხადად, საჯარო ლექციებში, ყველა ტრიბუნასთან აკრიტიკებდა საქართველოს მდგომარეობას, მმართველობას, ქართველი ხალხის

პასიურობას. ჯანსაღი კრიტიკა ყოველთვის სასარგებლოა, ამიტომ თავის წერილებში ყველა იმ უარყოფით თვისებას უსვამს ხაზს, რომელიც XIX საუკიუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გამოიკვეთა: ესაა უდარდელობა, პასიურობა, სიმხდალე, მლიქვნელობა, პირფერობა, ანგარებიანობა, თუმცა მათ გვერდით არსებულ ისეთ თვისებებზეც საუბრობს, რომელთა წყალობითაც გადარჩა ერი. ესაა სიმამაცე, ერთგულება, პატიოსნება სამშობლოს სიყვარული. რომელთა გამოვლინებას ისევ და ისევ მძაფრად სთხოვს ერს.

- აკაკი ბაქრაძის რვა ტომეულში, რომლებიდანაც VI თავშია ძირითად წარმოდგენილი პუბლიცისტიკა, ფრაგმენტულადაა გაბნეული ჩვენთვის საჭირო მასალა, სადაც ჩანს ქართული ხასიათის ელემენტები, მაგრამ ვფიქრობ საკმარისია იმისათვის რომ მისი დამოკიდებულება გამოჩნდეს, დროის ჭრილში მოგვცეს შედარების საშუალება, და იმ ისტორიულმა მოვლენებმა, რომლებიც ხდებობდა XIX-XX საუკუნეში, როგორი გავლენა მოახდინა ქართული ხასიათის ესთეტიკური ბუნების განვითარებაზე, რომელი თვისებები გახდა უპირატესი და რას მოითხოვდა დროება ქართველი ხალხისაგან.
- დასკვნით სახით გურამ ასათიანზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ცდილობდა შედარების გზით გამოეკვლია ქართული ხასიათის თავისებურებანი, სადაც მკაფიოდ ჩანს ხასიათის ორბუნებოვნება, ერთგული ცოტნეს გვერდით, მოღალატე ზურაბი, მოწამე ქეთევანი და უნდილაძე, რომელმაც ვერაფერი მოიმოქმედა ამ ქვეყნიური სიტყკბოების დაკარგვის შიშით. მინდიას თავშეკავებულობა და მურმანის შეუპოვრობა საკუთარი ბედნიერებისათვის სწრაფვისთვის.

- ასათიანი მკითხველს წარმოუჩენს ქართული ხასიათის ორივე მხარეს დადებითსაც და უარყოფითსაც, ასევე ცდილობს უარყოფითი პერსონაჟის ხასიათშიც, გამართლების პოვნას და ცდილობს ხან ისტორიული, ხან მატერიალური და ხანაც სიყვარულის გავლენის დანახვას. რომ ქართველი ხალხის ორბუნებოვნების მიზეზი გარემო ფაქტორებია, ასეთებად კი არ დაიბადნენ არამედ ასეთები გახდნენ.
- დასკვნის სახით, თამაზ ჩხენკელთან შეგვიძლია ვისაუბროთ ენის მნიშვნელობაზე, ის განიხილავს ქართული ენის დიდ მნიშვნელობას და იმ ერის მაღალ ინტელექტს რომელიც ამ ენაზე საუბრობს, კონკრეტულად თამაზ ჩხენკელი არ საუბრობს თავად ქართველთა ხასიათზე მაგრამ იოანე ზოსიმეს წერილის ანალიიზე დაყრდნობით ჩვენ ქართველთა უკეთეს მხარეს ვხედავთ: მაღალი ინტელექტის, მაღალი სულიერი და მატერიალური კულტურის შემქმნელ ერს, რომელსაც შესწევს უნარი მსოფლიოს აჩვენოს რა არის ცივილიზაცია.
- ქართული ხასიათის მესინისტურ განწყობაზე უსვამს ხაზს, რომ ქართველი კაცი იქმნის განსაკუთრებულობის განცდას იჯერებს და სწამს ამ განცდის, რადგან კაცობრიობის ისტორიაში თავისი ადგილი დაიმკვიდროს.
- საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ რომ, გამსახურდია ამართლებს „ქართველი კაცის მცონარე ხასიათს“, და ყველა მის უარყოფით თვისებას ისევ და ისევ ისტორიულ უბედურებას მიაწერს, სწორედ ამ ისტორიული გადაგვარების გმირები შექმნეს დავით კლდიაშვილმა და მიხეილ ჯავახიშვილმა.
- კვლევის მსვლელობისას, აღინიშნება, რომ ის ძირითად უარყოფითი მახასიათებლები, რომლებიც გამოიკვეთა ქართულ

ხასიათში, ძირითადად გამოწვეული იყო ისტორიული მოვლენების გამო. ძნელბედობის ჟამი არაერთხელ დაუდგა საქართველოს, ხანაც გადარჩენის მიზნით, ხანაც გამწარებული, დამცირებული ქართველი იძულებული იყო თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო. ასე ამართლებს ზვიადი ქართველი კაცის ბუნების უარყოფით პოლუსს.

- საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გერონტი ქიქოზე კი კიდევ ერთხელ საუბრობს ენაზე, როგორც კულტურის შემადგენელ ნაწილზე, სადაციკვეთება ერის განვითარების თავისებურება. ქართულ ენაზე შესაძლებელია ნებისმიერი სირთულის ფილოსოფიური იდეების გამოხატვა, ასევე ყველაზე უმსუბუქესი ეროტიული სენსაციურობა, ისევ როგორც ქართული ხასიათია ორპოლუსიანი შეუძლია იყვეს, უაღრესად მაღალი ღირებულებების მატარებელი, ასევე ყველაზე მდაბალი შეფასების თვისებებსაც შეიძლება მოიცავდეს ერთი პიროვნება საკუთარ თავში.

ქართული ხასიათის ესთეტიკური ბუნების კვლევა პუბლიცისტურ წერილებში, საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა, რადგან ხუთივე პუბლიცისტს საკუთარი წერის და გადმოცემის სტილი აქვთ, თუმცა აღსანიშნავია მათი საერთო მახასიათებელი, არც ერთი პუბლიცისტი არ განიხილავს, მხოლოდ ერთ მხარეს ხასიათისას. მაგალითად, მხოლოდ დადებით კონტექსტს, მხოლოდ ხოტბის შესხმა არც ერთ ჩვენს მიერ განხილულ მწერალთან არ არის. ან მხოლოდ უარყოფითი თვისებების წარმოჩენა, ძირითადად ვხვდებით შედარებას, რომ მაგალითად ერთგულების გვერდით მოღალატეობრივი თვისებაც არანაკლებ არსებობს, ან სიმამაცის გვერდით სიმხდალე, და ა. შ.

თუმცა, ჩვენს მიერ განხილულ ყველა პუბლიცისტთან არის მოწოდება გამოფხიზლების, მოქმედების და იმ უარყოფით კონტექსტსაც ვერ იმეტებს

ქართველის ბუნებისათვის მისაწერად და ამართლებს ისტორიული გარემოებით გამოწვეულ ცვლილებებს. მის ფესვებეს ეძებს ისტორიულ წიაღში, რომ ასეთად კი არ დაიბადა არამედ ასეთად შეიქმნა.

ქართული ხასიათის თავისებურებაზე, კონსტანტინე გამსახურდიას რომანში, მეფე გიორგი პროლოგი ყველაზე კარგი შეჯამება იქნება.

„მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია. ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარის ფესვებისა, გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატნია.

ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავის ხალხის მოღალატენი.“[1]

ბიბლიოგრაფია

1. ბაქრაძე აკაკი, თხზულებანი, ტომი VI, თბილისი, „ნეკერი“ „ლომისი“, 2005.
2. ბაქრაძე აკაკი , „თხზულებანი“, ტომი VIII, თბილისი, „ნეკერი“ „ლომისი“ 2006.
3. ასათიანი გურამ, „სათავეებთან“, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1982.
4. ასათიანი გურამ, „საუკუნის პოეტები“, თბილისი, მერანი, 1988. - 590გვ.
5. ჩხენკელი თამაზ, „მშვენიერი მძლევარი“, თბილისი, მერანი, 1989
6. ჩხენკელი თამაზ „მწვანე ბივრიტი“, ბათუმი, აჭარა, 2002
7. გამსახურდია ზვიად, ,,წერილები ესსეები“, თბილისი, ხელოვნება 1991.
8. აბაშიძე ზაზა, ბახტაძე მიხეილ, ჯანელიძე ოთარ, „საქართველო და ქართველები“ თბილისი 2015.
9. პაიჭაძე დავით, ვაშაკიძე ვ. „ქართველი ერის ჩამოყალიბება“, თბილისი, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი, 1990.
10. გამსახურდია კონსტანტინე, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1954

[1] კ. გამსახურდია, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1954, გვ. 788.

11. ქიქოძე გერონტი, წერილები ესსები ნარკვევები, თბილისი, „მერანი“ 1985

12. გამსახურდია ზვიად, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ დაარქივებული 2007-09-26 საიტზე Wayback Machine.
13. გამსახურდია ზვიად, „გელათის აკადემიის სულიერი იდეალები“ დაარქივებული 2007-09-26 საიტზე Wayback Machine.
14. ზვიად გამსახურდია: "გამოცხადების, სამების და სამოთხიდან გამოძევების შესახებ" დაარქივებული 2007-09-26 საიტზე Wayback Machine.

ინტერნეტ წყაროები:

15. აკაკი ბაქრაძე „კაცი, რომელსაც უსმენდნენ“ https://www.radiotavisupleba.ge/a/akaki-bakradze/29132706.html
16. გურამ ასათიანის ბიოგრაფია, შრომები http://www.buki.ge/author-2012.html
17. იოანე ზოსიმე

https://graalixeshemecnebisa.wordpress.com/2016/08/12/იოანე-ზოსიმეს-წერილი-ქე/

18. ენა და კულტურა http://tandaschwili.com/thema-3/ენა-და-კულტურა
19. საქართველოს სულიერი მისია http://www.amsi.ge/istoria/zg/missia.html
20. გერონტი ქიქოძე, წერილები https://www.georoyal.ge/?MTID=5&id=793